

ხელშეკრულება ფიზიკური პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ

1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1 ბანკი კლიენტს გაეხსნის ანგარიშ(ებ)ს, აწარმოებს მის საბანკო ოპერაციებს და გაუწევს ამ ხელშეკრულებაში აღწერილ მომსახურებას ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და წესებით.
- 1.2 ამ ხელშეკრულებაში აღწერილ მომსახურებათა მისაღებად კლიენტი ბანკს მიმართავს შესაბამისი წერილობითი განაცხადით (ან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ფორმით), რომლითაც ის იმავდროულად ადასტურებს, რომ დეტალურად იცნობს ამ ხელშეკრულების ყველა პირობას და ეთანხმება მათ, რითაც უერთება ამ ხელშეკრულებას. ბანკი განიხილავს კლიენტის განაცხადს და დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში დაიწყებს კლიენტისთვის განაცხადში მითითებული მომსახურების გაწევას განაცხადის მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა.
- 1.3 ანგარიშ(ებ)ი იხსნება კლიენტის განაცხადისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული აუცილებელი დოკუმენტების საფუძველზე (ბანკისთვის წარდგენის შემდეგ), რომელთა უცყუარობაზე პასუხისმგებელია კლიენტი.

2. ანგარიშზე ფულადი სახსრების შეტანა და ჩარიცხვა

- 2.1 კლიენტის ანგარიშზე ფულადი სახსრები შეიძლება ჩარიცხოს როგორც ნაღდი, ისე უნაღდო წესით.
- 2.2 იმ შემთხვევაში, თუ სხვა ბანკის მეშვეობით კლიენტის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის საბუთში აღნიშნული საიდენტიფიკაციო მონაცემები სრულად არ დაემთხვევა ბანკის ხელთ არსებულ ინფორმაციას კლიენტის შესახებ, ბანკი მიღებულ თანხას ჩარიცხავს "გაურკვეველი თანხების ანგარიშზე", აწარმოებს საიდენტიფიკაციო მონაცემების შემოწმებას და დაელოდება მონაცემების შეთანხმების შემთხვევაში თანხას ჩარიცხვას კლიენტის ანგარიშზე, ხოლო გამოუსწორებლობის შემთხვევაში თანხას დაუბრუნებს გადამხდელს.
- 2.3 კლიენტი ვალდებულია მის ანგარიშზე თანხის შევლდომით ჩარიცხვის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე დაუყოვნებლივ შეატყობინოს და გადასცეს ბანკს შევლდომით ჩარიცხული თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში კლიენტი პასუხს აგებს ამ ხელშეკრულებისა და კანონმდებლობის შესაბამისად.
- 2.4 ბანკი უზრუნველყოფს კლიენტის ანგარიშზე შესული თანხების ჩარიცხვას და კლიენტის ანგარიშიდან თანხების გადარიცხვას არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა.

3. ანგარიშიდან ფულადი სახსრების ჩამონერა

- 3.1 ბანკის მიერ ანგარიშებიდან ფულადი სახსრების ჩამონერა, როგორც წესი, ხორციელდება კლიენტის თანხმობის, ნებართვის, დავალების, ან მოთხოვნის საფუძველზე, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.
- 3.2 კლიენტის ანგარიშიდან ბანკის მიერ უაქვეპო წესით თანხების ჩამონერა შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში:
 - 3.2.1 ბანკის მოქმედი ტარიფების შესაბამისად მომსახურების საფასურის (საკომისიოს) ან/და პირგასამტეხლოს გადასახდელად;
 - 3.2.2 შევლდომით ჩარიცხული თანხების უკან დასაბრუნებლად;
 - 3.2.3 ბანკის წინაშე არსებული ნებისმიერი სახის დავალიანების დასაფარავად ან ვალდებულების შესასრულებლად (იმ შემთხვევაში, თუ დავალიანება ან ვალდებულება დაფიქსირებულია ეროვნული ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში, ეკვივალენტი დგინდება თანხის ჩამონერის მომენტისათვის ბანკის მიერ დადგენილი კომარცხილი კურსით);
 - 3.2.4 მოქმედი კანონმდებლობით ან/და კლიენტისა და ბანკს შორის დადებული ხელშეკრულებით, შეთანხმებით ან/და სხვა დოკუმენტით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.
- 3.3 კლიენტის მიერ ბანკისთვის მიცემული დავალების გაუქმება შეიძლება ბანკთან შეთანხმებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული დავალება ჯერ არ შესრულებულა და მისი გაუქმება არ უწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, ან იმ ვალდებულების არსს, რომლის შესასრულებლადაც გაიცა დავალება.
- 3.4 ბანკი უფლებამოსილია არ შესაძლოს კლიენტის დავალება და დავალების შესრულებლობის შესახებ ნებისმიერი ფორმით შეატყობინოს კლიენტს, იმ შემთხვევაში თუ:
 - 3.4.1 ვერ ხერხდება კლიენტის სრულფასოვანი იდენტიფიკაცია;
 - 3.4.2 დავალება შედგენილი ან წარდგენილია ბანკში დადგენილი წესის დარღვევით ან შეიცავს არაზუსტ ინფორმაციას (მითითებებს);
 - 3.4.3 დავალებაში აღნიშნული თანხა აღემატება ანგარიშზე არსებულ ხელმისაწვდომ თანხას ან ბანკის მიერ დადგენილ ლიმიტებს;
 - 3.4.4 ბანკს გაუჩნდა ეჭვი კანონსწინააღმდეგო ოპერაციის განხორციელების მცდელობის შესახებ.
- 3.5 ანგარიშიდან ფულადი სახსრების გასატანად (გასაცემად), როგორც წესი, გამოიყენება სალაროს გასავლის ორდერები (როგორც სტანდარტული, ისე სპეციალური).
- 3.6 კლიენტს უფლება აქვს ანგარიშიდან ფულადი სახსრების გასატანად გამოიყენოს ბანკისგან წინასწარ მიღებული სპეციალური ფორმის სალაროს გასავლის ორდერები (შემდგომში "სპეციალური ორდერები"), რომელთა შევსება ხდება კლიენტის მიერ.
- 3.7 კლიენტი ვალდებულია:
 - 3.7.1 გაუფრთხილდეს სპეციალურ ორდერებს;
 - 3.7.2 არ დაუმვას მათი შევსების გარეშე გადაცემა ნებისმიერი მესამე პირისთვის;
 - 3.7.3 დაიცვას სპეციალური ორდერის შევსების წესები.
- 3.8 სპეციალური ორდერის საფუძველზე ანგარიშიდან თანხის გატანა დასაშვებია სპეციალური ორდერის კლიენტის მიერ შედგენიდან (ხელმოწერიდან) 180 (ას ოთხმოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.

4. საფასური საბანკო მომსახურებისთვის

- 4.1 კლიენტისა და ბანკის ფინანსური ურთიერთობა მთლიანად წესრიგდება ბანკის ტარიფებითა და ბანკსა და კლიენტს შორის დადებული ხელშეკრულებით. ანგარიშის წარმოებისათვის, ამ ანგარიშიდან განხორციელებული ოპერაციებისათვის და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განვსისთვის კლიენტი ბანკს უხდის ოპერაციის შესრულების ან მომსახურების განვსის დროისათვის ბანკის მიერ დადგენილი და მოქმედი ტარიფების შესაბამისად განსაზღვრულ თანხას (მომსახურების საფასურს).
- 4.2 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე მომსახურების შეწყვეტის შემთხვევაში კლიენტს არ დაუბრუნდება მის მიერ უკვე გადახდილი მომსახურების საფასური (საკომისიო).
- 4.3 ბანკს უფლება აქვს შესთავაზოს კლიენტს **სატარიფო პაკეტი** გამოიყენება, რაც გულისხმობს ერთდროულად რამდენიმე საბანკო მომსახურებით და შეღავათიანი ტარიფებით სარგებლობის უფლების მოპოვებას ეფიქსირებული საკომისიოს გადახდის სანაცვლოდ. სატარიფო პაკეტი რეგისტრაცია ხდება კლიენტის მიერ სპეციალური განაცხადის შევსებით. შევსებული განაცხადი სატარიფო პაკეტის შექმნის შესახებ ჩაითვლება კლიენტის თანხმობად სატარიფო პაკეტში ჩამოთვლილი მომსახურებებით სარგებლობაზე და აუცილებელია აღარ იქნება თითოეული მომსახურების მისაღებად ამ ხელშეკრულების 1.2 პუნქტში აღნიშნული განაცხადის ბანკისთვის წარდგენა.

5. მხარეთა ვალდებულებები

- 5.1 კლიენტი ვალდებულია:
- 5.1.1 დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს მის მიერ ბანკისთვის წარდგენილ დოკუმენტებსა და მიწოდებულ ინფორმაციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, ასევე წერილობით შეატყობინოს ბანკს იმ პირების შეცვლის შესახებ, რომლებიც უფლებამოსილი არიან განაგრძონ ანგარიში, ან მიიღონ ინფორმაცია ანგარიშის მდგომარეობის შესახებ და შეტყობინებას უტოლონ მის შესახებ. ცვლილებების შესახებ შეტყობინებისა და შესაბამისი საბუთების მიღებამდე ბანკის მიერ ოპერაციები სრულდება ადრე წარდგენილი საბუთებისა და ხელმოწერის ნიმუშის საფუძველზე.
 - 5.1.2 დაუყოვნებლივ წერილობით, ინტერნეტ-ბანკის მეშვეობით ან სატელეფონო კოდის გამოყენებით ბანკის სატელეფონო სერვისცენტრთან დაკავშირებით (ნომერზე ნომერზე +99532 272727) შეატყობინოს ბანკს მისამართის, ტელეფონის ნომრის, ელექტრონული ფოსტის მისამართის ან/და სხვა საკონტაქტო მონაცემების შეცვლის შესახებ;
 - 5.1.3 ყოველი ახალი ანგარიშის გახსნის განაცხადთან ერთად ბანკს წარუდგინოს ბანკის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტები კლიენტის საგადასახადო/სამწარმო სტატუსის შესაბამისად;
 - 5.1.4 ბანკის მიერ მისთვის გახსნილი ანგარიშები სამწარმო მიზნებისთვის გამოიყენოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ექნება შესაბამისი საგადასახადო/სამწარმო სტატუსი. წინააღმდეგ შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია არ გამოიყენოს თავისი ანგარიშები სამწარმო საქმიანობისთვის;
 - 5.1.5 მოთხოვნისთანავე მიანოდოს ბანკს საბანკო ოპერაციებთან დაკავშირებული ყველა საბუთი და ინფორმაცია;
 - 5.1.6 დაიცვას ამ ხელშეკრულების პირობები;
 - 5.1.7 დაიცვას ბანკის მიერ გავრცელებულ საინფორმაციო მასალაში აღწერილი პროცედურები;
 - 5.1.8 დროულად გადაიხადოს მომსახურების საფასური (საკომისიო);
 - 5.1.9 ბანკის მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) კალენდარული დღისა ხელი მოაწეროს და გადასცეს ბანკს ამ უკანასკნელისთვის ამ ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებ(ებ)ის განხორციელებისთვის ან ამ ხელშეკრულებით კლიენტისთვის დაკისრებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებისთვის საჭირო ნებისმიერი საბუთი;
 - 5.1.10 სრულად ანაზღაუროს ამ ხელშეკრულების და მის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების დადებასთან, დამონებასთან, რეგისტრაციასთან, შესრულებასთან და გაუქმებასთან დაკავშირებული ან/და კლიენტის მიერ ამ ხელშეკრულებით ნებისმიერი ვალდებულების დარღვევის გამო ბანკის მიერ გაწეული (მათ შორის კლიენტისთვის შეტყობინების გაგზავნასთან დაკავშირებული) ყველა და ნებისმიერი ხარჯი.
- 5.2 ბანკი ვალდებულია:
- 5.2.1 მოთხოვნის შესაბამისად მიანოდოს კლიენტს ინფორმაცია ანგარიშის მდგომარეობის შესახებ;
 - 5.2.2 შეასრულოს კლიენტის ვალდებულებები ამ ხელშეკრულებისა და კანონმდებლობის შესაბამისად;
 - 5.2.3 დაიცვას ამ ხელშეკრულების პირობები.
- 5.3 კლიენტს უკრძალება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე მომსახურების გამოყენება უკანონო მიზნით, მათ შორის იმ საქონლის ან მომსახურების შესაძენად, რომლის შექმნაც აკრძალულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

- 6.1 ამ ხელშეკრულებით ნაყისრი ვალდებულებების სრულყოფითად და დროულად შესრულებლობის შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.
- 6.2 ბანკი პასუხისმგებელია კლიენტის წინაშე საბანკო ოპერაციების ზუსტად და დროულად განხორციელებისთვის. ბანკის მიზებით ანგარიშიდან თანხის არასწორად ჩამოწერის, ან ანგარიშზე თანხების ჩარიცხვის ვადების დარღვევისათვის ბანკი იხდის პირგასამტეხლოს შესაბამის თანხის 0,05%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული საბანკო დღისთვის, ან კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 6.3 ამ ხელშეკრულების 2.3 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დროულად შესრულებლობის შემთხვევაში, კლიენტი ვალდებული იქნება გადაეხადოს ბანკს პირგასამტეხლო 0,05%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.
- 6.4 პირგასამტეხლოს გადახდა დამრღვევს არ ათავისუფლებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისგან.
- 6.5 ბანკი არ არის პასუხისმგებელი:
- 6.5.1 ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, თუ ეს გამოწვეულია კლიენტის “საგადახდო ვალდებულებებში”, ან სხვა რომელიმე საბუთში აღნიშნული მიზეზები ან შუამავალი ბანკის ნებისმიერი ქმედებით ან/და შეცდომით, ან ბანკისაგან დამოუკიდებელი ნებისმიერი სხვა მიზეზით;
- 6.5.2 შედეგებზე, რომლებიც გამოწვეულია:
- 6.5.2.1 კლიენტის ვალდებულებით ოპერაციის განხორციელებით;
- 6.5.2.2 კლიენტის ან სხვა პირის კუთვნილი კომპიუტერის, ტელეფონის აპარატის ან/და სხვა მოწყობილობისა თუ აღჭურვილობის (მათი რომელიმე ნაწილის ან/და აქსესუარის) ან/და პროგრამული უზრუნველყოფის გაუმართავობით;
- 6.5.2.3 ტელეკომუნიკაციების ოპერატორის, ინტერნეტ-პროვაიდერის ან/და ნებისმიერი სხვა პირის მიზეზით;
- 6.5.2.4 კლიენტის მიერ განაცხადის ან/და განცხადების არასრული ან არასრულყოფილი შევსებით;
- 6.5.2.5 კლიენტის მიერ ბანკისთვის მიწოდებული ინფორმაციის უსწორობით ან/და უზუსტობით;
- 6.5.2.6 კლიენტის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაყისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით;
- 6.5.2.7 კლიენტისთვის ამ ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებების კლიენტის მიერ გამოყენებლობით.
- 6.5.2.8 ბანკის მიერ გაცემული რეკომენდაციების კლიენტის მიერ შეუსრულებლობით.
- 6.6 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ხელშეკრულებით ნაყისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, თუ ეს გარემოებები გამოწვეულია დაუძლეველი (გადაუღებავი) ძალის პირდაპირი ზემოქმედებით, კერძოდ: წყალდიდობით, მიწისძვრით, ხანძრით, გაფიცვით, სამხედრო მოქმედებით, ბლოკადით, სახელმწიფო ორგანოების აქტით ან ქმედებით და სხვა (ფორს-მაჟორული გარემოებები). ფორს-მაჟორული გარემოების დადგომისას მხარეები ვალდებული არიან დაუყოვნებლივ შეატყობინონ ამის შესახებ მეორე მხარეს. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაყისრი ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოებების ლიკვიდაციამდე.

7. ინფორმაცია კლიენტის შესახებ და საბანკო საიდუმლოება

- 7.1 კლიენტი აცხადებს, რომ მის მიერ ამ ხელშეკრულების 1.2 პუნქტში აღნიშნული განაცხადის ბანკის მიერ მიღების მომენტში ბანკისთვის მიწოდებული ინფორმაცია (მათ შორის სამწარმო საქმიანობისა და მისი, როგორც გადასახადის გადამხდელის სტატუსის შესახებ) არის უტყუარი, ზუსტი, სრული და ამომწურავი. კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს მისი საიდენტიფიკაციო მონაცემების, საკონტაქტო ინფორმაციის, სტატუსის ან საქმიანობის სახის ნებისმიერი ცვლილების შესახებ.
- 7.2 ბანკი ვალდებულია დაიცვას კლიენტთან დაკავშირებული საბანკო ოპერაციების და ანგარიშების შესახებ ინფორმაციის საიდუმლოება (კონფიდენციალობა), რომელიც მისთვის ცნობილი გახდა კლიენტთან საქმიანი ურთიერთობისას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ან თუ საქმე ეხება ჩვეულებრივ საბანკო ინფორმაციას, რომლის გამჟღავნებთაც არ ილახება კლიენტის ინტერესები (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 863-ე მუხლის შესაბამისად). ბანკის მიერ კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება ძალაშია ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შემდეგაც.
- 7.3 ბანკი პასუხს არ აგებს კლიენტის მიერ ბანკისთვის მიწოდებული საკონტაქტო ინფორმაციის შესაბამისად გაგზავნილი შეტყობინების სხვა პირის მიერ მიღებით გამოწვეულ შედეგებზე.

7.4 კლიენტის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით კლიენტი ბანკს ანიჭებს უფლებას სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსგან მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია კლიენტის შესახებ (მათ შორის პერსონალური მონაცემები) ანგარიშ(ებ)ის გახსნის, ოპერაცი(ებ)ის წარმოების ან/და მომსახურების განვსის დროს.

8. ხელშეკრულების ოქმადება და სხვა პირობები

- 8.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის ამ ხელშეკრულების 1.2 პუნქტში აღნიშნული განაცხადის მიღების ბანკის მიერ დადასტურების მომენტიდან და იმოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.
- 8.2 კლიენტს უფლება აქვს ნებისმიერ დროს დახუროს ანგარიში ან შეწყვიტოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ან ყველა სახის მომსახურებით სარგებლობა ანგარიშის დახურვამდე ან მომსახურებით სარგებლობის შეწყვეტამდე 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე ბანკისთვის წერილობითი შეტყობინების გადაცემის მეშვეობით. ამ შემთხვევაში კლიენტი ვალდებული იქნება ანგარიშის დახურვის ან/და მომსახურებით სარგებლობის შეწყვეტის შესახებ წერილობითი შეტყობინების ბანკისთვის გადაცემიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა გადაუხადოს ბანკს შესაბამის ანგარიშთან ან/და მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა საკომისიო და სხვა სახის გადასახდელი.
- 8.3 ბანკს უფლება აქვს ნებისმიერ დროს:
- 8.3.1 შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება შეწყვეტამდე არანაკლებ 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე კლიენტისთვის შეტყობინებით;
- 8.3.2 შეცვალოს ამ ხელშეკრულებაში აღწერილი მომსახურების პირობები, მახასიათებლები ან/და საფასური (ბანკის მიერ დადგენილ ტარიფებში ცვლილებების შემთხვევაში), კლიენტს შესთავაზოს ან შეწყვიტოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ან რამდენიმე მომსახურების განწესა;
- 8.3.3 დახუროს კლიენტის ანგარიში კლიენტის მიერ ბანკთან დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის, ანგარიშზე 6 (ექვსი) თვის განმავლობაში ნაშთის აწარსებობის ან/და ანგარიშის მეშვეობით ოპერაციების განხორციელებლობის შემთხვევაში (ამ პუნქტის მიზნებისთვის ოპერაციის განხორციელებად არ ჩაითვლება ბანკის მომსახურების საფასურის გადარიცხვა/ჩამორეა კლიენტის ანგარიშიდან), ანგარიშის დახურვის შემთხვევაში კლიენტს დაუბრუნდება შესაბამის ანგარიშზე რიცხული თანხა.
- 8.4 ამ ხელშეკრულების მოქმედება ნებისმიერ დროს შეიძლება შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით ან ჯანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
- 8.5 ბანკს უფლება აქვს ცვლილებები (დამატებები) შეიტანოს ამ ხელშეკრულების ტექსტში ცვლილებების (დამატებების) განხორციელებამდე 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე ბანკის ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge ან/და ბანკის ფილიალებისა და სერვისცენტრების შენობებში შესაბამისი ინფორმაციის განთავსების მეშვეობით.
- 8.6 ამ ხელშეკრულების 8.5 პუნქტში აღწერილ შემთხვევაში კლიენტს უფლება ექნება ბანკის ინტერნეტ-გვერდზე ან/და ბანკის ფილიალებისა და სერვისცენტრების შენობებში ინფორმაციის განთავსებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის გასვლამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება ამ ხელშეკრულების 8.2 პუნქტით გათვალისწინებული წესით. ამ პუნქტით მინიჭებული უფლების განხორციელების (გამოყენების) შემთხვევაში კლიენტი ვალდებული იქნება ამ ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ წერილობითი შეტყობინების ბანკისთვის გადაცემიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა დაუბრუნოს ბანკს ამ ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული ყველა საკრედიტო პროდუქტი (სრულად დაფაროს ყველა საკრედიტო ლიმიტი, ოვერდრაფტი, საბანკო ყრული ან/და სხვა საკრედიტო პროდუქტი) და გადაუხადოს ბანკს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა მომსახურებასთან დაკავშირებული საკომისიო, საპროცენტო სარგებელი, პირგასამტეხლო და სხვა გადასახდელი. ამ ხელშეკრულების მოქმედება გაგრძელდება ამ ხელშეკრულებით კლიენტისთვის დაკისრებულ ყველა ვალდებულების მოთიანად შესრულებამდე.
- 8.7 იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი არ ისარგებლებს ამ ხელშეკრულების 8.6 პუნქტში აღწერილი უფლებით, ბანკის მიერ შეთავაზებული ცვლილებები (დამატებები) ჩაითვლება კლიენტის მიერ მიღებულად, ხელშეკრულება კი შეცვლილად, შეთავაზებული პირობების შესაბამისად. ბანკს უფლება აქვს ცვლილება, რომელიც არ აუარესებს კლიენტის მდგომარეობას ძალაში შეიყვანოს ინტერნეტ-გვერდზე მისი განთავსებისთანავე.
- 8.8 ნებისმიერი შეტყობინება ხორციელდება წერილობით, ან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ფორმით. წერილობითი შეტყობინება მხარეს უნდა გადაეცეს შეტყობინების გამგზავნისთვის ცნობილ ბოლო მისამართზე. ბანკს შეუძლია შეტყობინებისთვის გამოიყენოს კომუნიკაციის სხვა საშუალებებიც (მათ შორის ელექტრონული, ციფრული, სატელეფონო და სხვა).
- 8.9 იმ საკითხების მოწესრიგებისას, რომლებიც ამ ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი ჯანონმდებლობით.
- 8.10 მხარეთა შორის ნამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო ან არბიტრაჟი ამ ხელშეკრულების 8.16 პუნქტში მოცემული საარბიტრაჟო შეთანხმების შესაბამისად.
- 8.11 მხარეები თანხმდებიან, რომ:
- 8.11.1 ბანკს უფლება აქვს მოითხოვოს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების (მათ შორის გადახდის ბრძანების) დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1¹ ნაწილის შესაბამისად;
- 8.11.2 ბანკის ინტერნეტ-გვერდზე განთავსებულ და ბანკის მონაცემთა ბაზაში (კომპიუტერულ პროგრამებში) დაცულ ინფორმაციას, ამ ინფორმაციის ბანკის მიერ დამზადებულ ელექტრონულ ასლებსა და ამონაბეჭდებს, რომლებიც დამონებულია ბანკის დირექტორის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის ხელმოწერით, აქვთ მტკიცებულებითი ძალა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ურთიერთობებთან დაკავშირებული ფაქტების არსებობა-არარსებობის დადასტურების მიზნებისთვის.
- 8.12 ამ ხელშეკრულებას ენიჭება უპირატესი ძალა მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით ადრე გაფორმებულ სხვა ხელშეკრულებებთან წინააღმდეგობის შემთხვევაში.
- 8.13 ამ ხელშეკრულების რომელიმე ნაწილის ბათილობა და/ან მოქმედების შეწყვეტა არ იწვევს მოთიანად ხელშეკრულების ბათილობას ან მოქმედების შეწყვეტას.
- 8.14 კლიენტის მომსახურების პირობები და ბანკის რეკომენდაციები უფრო დეტალურად არის აღწერილი ბანკის მიერ გავრცელებულ საინფორმაციო მასალაში (მათ შორის ბუკლეტები, ბროშურები, ბანკის ინტერნეტ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია და სხვა). საინფორმაციო მასალაში მოცემულ ინფორმაციასა და ამ ხელშეკრულების შინაარსს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში გამოიყენება ამ ხელშეკრულების დებულებები.
- 8.15 ამ ხელშეკრულების ტექსტი განთავსებულია ბანკის ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge, მოთხოვნის შემთხვევაში კლიენტს გადაეცემა ხელმოწერილი ხელშეკრულება.
- 8.16 მხარეები თანხმდებიან, რომ:
- 8.16.1 ბანკს უფლება აქვს, ამ ხელშეკრულებიდან (შეთანხმებიდან) გამომდინარე, ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა, უთანხმოება ან მოთხოვნა, მათ შორის ამ ხელშეკრულების (შეთანხმების) შესრულების, დარღვევის, შეწყვეტის, ან ბათილობის საკითხი, განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადასცეს მუდმივმოქმედ არბიტრაჟს "მორავი". იმ შემთხვევაში, თუ საარბიტრაჟო სარჩელის (პრეტენზიის) წარდგენის მომენტში ზემოხსენებულ არბიტრაჟი იქნება ლიკვიდირებული ან მას შეჩერებული/შეწყვეტილი ექნება ფუნქციონირება ბანკს უფლება ექნება, დავა განსახილველად გადასცეს მუდმივმოქმედ არბიტრაჟს "დავების განმხილველი ცენტრი" (DRC). იმ შემთხვევაში, თუ საარბიტრაჟო სარჩელის (პრეტენზიის) წარდგენის მომენტში ზემოხსენებულ არბიტრაჟი იქნება ლიკვიდირებული ან მას შეჩერებული/შეწყვეტილი ექნება ფუნქციონირება ბანკს უფლება ექნება, დავა განსახილველად გადასცეს მუდმივმოქმედ არბიტრაჟს "თბილისის საარბიტრაჟო-სამომრიგებლო პალატა". იმ შემთხვევაში, თუ საარბიტრაჟო სარჩელის (პრეტენზიის) წარდგენის მომენტში ზემოხსენებულ ორივე არბიტრაჟი იქნება ლიკვიდირებული ან მათ შეჩერებული/შეწყვეტილი ექნებათ ფუნქციონირება ბანკს უფლება ექნება,

დავა განსახილველად გადასცეს "დამოუკიდებელ საარბიტრაჟო სასამართლოს". იმ შემთხვევაში, თუ საარბიტრაჟო საარჩევნო (პრეტენზიის) წარდგენის მომენტში ზემოხსენებულ ორივე არბიტრაჟი იქნება ლიკვიდირებული ან მათ შერჩეული/შეწყვეტილი ექნებათ ფუნქციონირება ბანკს უფლება ექნება, დავა განსახილველად გადასცეს მუდმივმოქმედ არბიტრაჟს "თბილისის საარბიტრაჟო პალატა". იმ შემთხვევაში, თუ საარბიტრაჟო საარჩევნო (პრეტენზიის) წარდგენის მომენტში ზემოხსენებულ ორივე არბიტრაჟი იქნება ლიკვიდირებული ან მათ შერჩეული/შეწყვეტილი ექნებათ ფუნქციონირება ბანკს უფლება ექნება, დავა განსახილველად გადასცეს მუდმივმოქმედ არბიტრაჟს "საქართველოს საარბიტრაჟო პალატა";

- 8.16.2 არბიტრაჟში საქმეს განიხილავს ერთი არბიტრი, რომელსაც დანიშნავს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე (ეს გადაწყვეტილება იქნება საბოლოო და არ გასაჩივრდება);
- 8.16.3 საქმის განხილვის ადგილი იქნება თბილისი;
- 8.16.4 საქმის განხილვის ენა იქნება ქართული;
- 8.16.5 საარბიტრაჟო წარმოება და გადაწყვეტილების გამოცანა შეიძლება განხორციელდეს როგორც ზეპირი განხილვით, ისე წარდგენილი მასალების საფუძველზე (გამარტივებული წარმოების გზით);
- 8.16.6 საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოცანის ვადა განისაზღვრება ოცდაათი კალენდარული დღით საარბიტრაჟო საარჩევნო (პრეტენზიის) წარდგენის მომენტიდან;
- 8.16.7 არბიტრაჟის სხდომის ჩატარების შესახებ მხარეს უნდა ეცნობოს სულ ცოტა სამი კალენდარული დღით ადრე;
- 8.16.8 შეტყობინება შესაძლებელია განხორციელდეს კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალებით (წერილობით, ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით და სხვა);
- 8.16.9 საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე ან განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოცანამდე, ბანკს შეუძლია შეამდგომლობით მიმართოს არბიტრაჟს საარბიტრაჟო საარჩევნო (პრეტენზიის) უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ;
- 8.16.10 არბიტრაჟის მიერ ბანკის მოთხოვნით გამოყენებულ საარბიტრაჟო საარჩევნო (პრეტენზიის) უზრუნველყოფის ღონისძიებებს აქვთ საავტორო უფლება და მათი აღსრულება დასაშვებია არბიტრაჟის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის (წარწერის) საფუძველზე სასამართლოსთვის მიმართვის და სასამართლოს მიერ ცნობის (აღიარების) გარეშე.
- 8.16.11 იმ შემთხვევაში, თუ ეს საჭირო იქნება ბანკის საქმიანი რეპუტაციის ან/და ჯანონიერი ინტერესის დაცვისთვის ბანკს უფლება ექნება საარბიტრაჟო განხილვისას გამოყენებული საბუთები, მტკიცებულებები, წერილობითი თუ ზეპირი განცხადებები ისევე, როგორც არბიტრაჟის მიერ გამოცემული დოკუმენტები (მათ შორის საარბიტრაჟო გადაწყვეტილება) გამოაქვეყნოს საჯაროდ, საერთო შიშხედელებსაშემო გადასცეს სასამართლოს, ადმინისტრაციულ ორგანოებს ან ნებისმიერ პირს;
- 8.16.12 განცხადება არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ უნდა გაკეთდეს საარბიტრაჟო შესაგებლის წარდგენამდე;
- 8.16.13 საარბიტრაჟო მოპასუხე საარბიტრაჟო საარჩევნო (პრეტენზიაზე) საარბიტრაჟო შესაგებელი უნდა წარმოადგინოს საარბიტრაჟო საარჩევნო (პრეტენზიის) მიტეხიდან ხუთი კალენდარული დღის ვადაში;
- 8.16.14 არ არის აუცილებელი, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეიცავდეს სამოტივაციო ნაწილს;
- 8.16.15 არბიტრაჟის დებულება წარმოადგენს ამ საარბიტრაჟო შეთანხმების განუყოფელ ნაწილს;
- 8.16.16 არბიტრაჟის დებულებასა და ამ საარბიტრაჟო შეთანხმების პირობებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში გამოიყენება ამ საარბიტრაჟო შეთანხმების პირობები.
- 8.17 იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს ექნება რაიმე სახის ვალდებულება ბანკის მიმართ, ამ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით ბანკი განახორციელებს იპოთეკის ან/და გირავნობის საგნის საკუთრებაში მიღებას ან რეალიზაციას და ბანკის (როგორც იპოთეკარის ან/და მოგირავნის) მიერ იპოთეკის ან/და გირავნობის საგნის საკუთრებაში მიღების მომენტისთვის იპოთეკის ან/და გირავნობის საგნის ღირებულება ექნება უზრუნველყოფილი მოთხოვნის მოცულობაზე ნაკლები ან თუ იპოთეკის ან/და გირავნობის საგნის რეალიზაციით მიღებული თანხა არ იქნება საკმარისი უზრუნველყოფილი მოთხოვნის სრულად დასაფარავად, უზრუნველყოფილი მოთხოვნა დაქვავილი იქნება მხოლოდ იპოთეკის ან/და გირავნობის საგნის ღირებულების ან იპოთეკის ან/და გირავნობის საგნის რეალიზაციით მიღებული თანხის ტოლი ოდენობით.
- 8.18 იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი წინასწარ არ განაცხადებს წერილობით უარს, ჩაითვლება, რომ კლიენტი თანახმაა ბანკის მიერ განხორციელებულ წამახალისებელ აქციებში მონაწილეობასა და ამ აქციების პირობებზე.

9. ინტერნეტ-ბანკი

- 9.1 **მომსახურების აღწერა**
- 9.1.1 ინტერნეტ-ბანკით მომსახურება გულისხმობს ბანკში გამოცხადებულად კლიენტის მიერ ბანკის ინტერნეტ-გვერდის <https://www.internetbanking.ge> გამოყენებით ბანკის მიერ განსაზღვრული;
- 9.1.1.1 საბანკო ინფორმაციის მიღებას;
- 9.1.1.2 სხვადასხვა საბანკო მომსახურებით (სერვისით) სარგებლობისთვის რეგისტრაციას;
- 9.1.1.3 ლიმიტების ფარგლებში სხვადასხვა საბანკო ოპერაციის განხორციელებას.
- 9.1.2 ინტერნეტ-ბანკის საშუალებით კლიენტს შეუძლია განახორციელოს სხვადასხვა საბანკო ოპერაცია ამ ხელშეკრულებაში მოცემული და ოპერაციის განხორციელების დროისთვის ბანკში მოქმედი წესების, მოთხოვნებისა და პირობების შესაბამისად.
- 9.1.3 ინტერნეტ-ბანკით მომსახურების მისაღებად კლიენტმა ბანკს უნდა მიმართოს განაცხადით ამ ხელშეკრულების 1.2 პუნქტის შესაბამისად.
- 9.2 **კლიენტის იდენტიფიკაცია**
- 9.2.1 კლიენტს დალუქული კონვერტი გადევნება ინტერნეტ-ბანკით სარგებლობისთვის საჭირო მონაცემები (შემდგომში „საიდენტიფიკაციო მონაცემები“), რომელთა გამოყენებითაც ხდება კლიენტის იდენტიფიკაცია ბანკის ინტერნეტ-გვერდზე შესვლის დროს. ზემოხსენებული მონაცემების ინტერნეტ-გვერდის სუბიალურ - „შემსვლელ“ გრაფაში შეტანის გარეშე არ გაიცემა ინფორმაცია ანგარიშის შესახებ, არ შესრულდება საბანკო ოპერაციები და რეგისტრაცია მომსახურებებზე (სერვისებზე).
- 9.2.2 კლიენტის ინფორმაციისა და ოპერაციების უსაფრთხოების დაცვის მიზნით ბანკი უფლებამოსილია შექმნას დამატებითი მექანიზმები კლიენტის იდენტიფიკაციისთვის, მათ შორის გარკვეული სახის მომსახურების გასაწევად მოითხოვოს ბანკის მიერ კლიენტისთვის გადაცემული მონაცემების მეშვეობით შექმნილი (გენერირებული) კოდების გამოყენება.
- 9.2.3 ბანკი და კლიენტი ვალდებული არიან დაიცვან საიდენტიფიკაციო მონაცემების კონფიდენციალობა.
- 9.2.4 საიდენტიფიკაციო მონაცემების დაქარგვის შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ მიმართოს ბანკს განცხადებით (ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ფორმით) ახალი საიდენტიფიკაციო მონაცემების მინიჭების შესახებ.
- 9.2.5 ბანკი ვალდებულია კლიენტის მიერ საიდენტიფიკაციო მონაცემების დაქარგვის თაობაზე შეტყობინების საფუძველზე უზრუნველყოს კლიენტის ანგარიშებზე ინტერნეტ-ბანკით მომსახურების შეჩერება, კლიენტის მხრიდან ახალი განაჯრულებების მიღებამდე.
- 9.2.6 კლიენტის მიერ ბანკში ახალი ანგარიშის გახსნისას, ინტერნეტ-ბანკით მომსახურება განხორციელდება ავტომატურად, არსებული საიდენტიფიკაციო მონაცემების გამოყენებით.
- 9.2.7 კლიენტი წინასწარ აცხადებს, რომ მხოლოდ შესაბამისი სერვისების (მომსახურებების) პირობების დეტალურად შესწავლის შემდეგ დარეგისტრირდება ამ სერვისების მომხმარებლად და რომ ამ ხელშეკრულების 9.2.1 ქვეპუნქტში აღნიშნული საიდენტიფიკაციო მონაცემების გამოყენებით რეგისტრაციის ნების გამოხატვა ჩაითვლება მის თანხმობად იმ მომსახურების ყველა პირობაზე, რომლის მომხმარებლადც დარეგისტრირდება კლიენტი ბანკის ინტერნეტ-გვერდის მეშვეობით.
- 9.2.8 კლიენტის პრეტენზიები ინტერნეტ-ბანკით მომსახურებასთან დაკავშირებით მიიღება ოპერაციის განხორციელებიდან 45 (ორმოცდახუთი) დღის განმავლობაში.
- 9.2.9 კლიენტი აცნობიერებს და ადასტურებს, რომ ინტერნეტ-ბანკის საშუალებით ბანკისთვის გაგზავნილ სავალდებლო დავალებას აქვს ანგარიშის განაჯრავაზე უფლებამოსილი პირის მიერ დადასტურებული (წერილობითი ფორმით შესრულებული და ხელმოწერილი) ქალაქდებუ დაბეჭდილი საბუთის ტოლფასი იურიდიული ძალა;

- 9.2.10 კლიენტი ბანკს ავალებს და უფლებას აძლევს ბანკთან ინტერნეტით კავშირისას;
- 9.2.10.1 კლიენტისთვის ხელმისაწვდომი გახადოს მიაწოდოს მას ინფორმაცია მისი ანგარიშების შესახებ;
- 9.2.10.2 კლიენტის დავალიანების შესარულოს ბანკის მიერ ინტერნეტ-ბანკით მომსახურების ფარგლებში დაშვებული ოპერაციები.
- 9.3 **კლიენტი ვალდებულია:**
- 9.3.1 ინტერნეტ-ბანკთან კავშირის დასამყარებლად გამოიყენოს მხოლოდ „ინტერნეტ-ბანკის“ ისეთი თანამედროვე ვერსია, რომელიც მონაცემთა მინიმუმ 128 ბიტის დამიფერსა უზრუნველყოფს;
- 9.3.2 უსაფრთხოოდ შეინახოს ინტერნეტ-ბანკით სარგებლობისთვის საჭირო ნებისმიერი ინფორმაცია, საიდენტიფიკაციო მონაცემები და ბანკის მიერ მისთვის გადაცემული მონაცემები („Digi Pass Token“ და სხვა), ასევე ამ მონაცემებთან დაკავშირებული ყველა სახის კოდი;
- 9.3.3 ინტერნეტ-ბანკში ჰირველად შესვლისთანავე შეცვალოს პაროლი (Password) და დაიცვას მისი კონფიდენციალობა;
- 9.3.4 ხშირად ცვალოს პაროლი, არ განდოს პაროლი, კოდი და/ან ბანკის მიერ მისთვის გადაცემული მონაცემების („Digi Pass Token“ და სხვა) საიდენტიფიკაციო კოდი შესამე პირს, არ შეინახოს ეს მონაცემები კომპიუტერის მუხიერებაში, არ დაუშვას ბანკის მიერ მისთვის გადაცემული მონაცემების შესამე პირისთვის გადაცემა;
- 9.3.5 ინტერნეტ-ბანკის უშუალო გამოყენებამდე დარწმუნდეს, რომ რომ მისამართის ველში ნამდვილად წერია ბანკის ინტერნეტ-ბანკის ვებ-მისამართი <https://www.internetbanking.ge> და ამ მისამართის ორიგინალობა გადაამოწმოს უსაფრთხოების სერტიფიკატით;
- 9.3.6 პაროლის, რომელიც კოდის ან მონაცემების დაჯარგვის, ან გამტარების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს ამის შესახებ;
- 9.3.7 არ უნდოს ელ-ფოსტის მისამართზე მიღებულ შეტყობინებებს, რომლებიც ბანკის სახელით ითხოვენ პირადი საბანკო მონაცემების მიწოდება/განახლებას.
- 9.4 **ბანკს უფლება აქვს:**
- 9.4.1 ინტერნეტ-ბანკის მეშვეობით კლიენტისთვის ხელმისაწვდომი გახადოს ინფორმაცია მისი ანგარიშების შესახებ;
- 9.4.2 კლიენტის დავალიანებით შესარულოს ბანკის მიერ ინტერნეტ-ბანკით მომსახურების ფარგლებში დაშვებული ოპერაციები;
- 9.4.3 რისკების შემცირების მიზნით კლიენტის აქტიურ ოპერაციებზე (გადარიცხვები, კონვერტაციები) ცალმხრივად დააწესოს შეზღუდვები და დაადგინოს ასეთი ოპერაციების ზღვრულ დასაშვებ პარამეტრები (ერთჯერადი გადარიცხვის მაქსიმალური თანხა, გარკვეულ პერიოდში ჯამურად გადარიცხული თანხის მაქსიმალური ოდენობა, გადარიცხვების მაქსიმალური რაოდენობა, ერთი მომხმარებლის მიერ შესრულებული ოპერაციების დადასტურების აუცილებლობა სხვა მომხმარებლის მიერ და სხვა).

10. ავტომატური გადარიცხვები

- 10.1 **მომსახურების აღწერა**
- 10.1.1 ავტომატური გადარიცხვებით მომსახურება გულისხმობს კლიენტის ანგარიშებიდან კომუნალური მომსახურების საფასურის გადასახდელად ან სხვა დანიშნულებით ბანკის მიერ თანხების გადარიცხვას კლიენტის შემდგომი თანხმობის გარეშე, ავტომატური გადარიცხვების შესახებ კლიენტის განაცხადში მითითებული ფიქსირებული თანხის ან კლიენტის მომსახურე პირის მიერ კლიენტის დავალიანების შესახებ ბანკისთვის მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.
- 10.1.2 მხარეები თანხმდებიან, რომ ავტომატური გადარიცხვების შესასრულებლად ბანკის მიერ შექმნილ ელექტრონულ საგადახდო საბუთებს აქვთ ქალაქულ დაბეჭდილი და ანგარიშის განჯარგვის უფლებამოსილების მქონე პირის მიერ ხელმოწერით დადასტურებული საბუთის გოლფასი იურიდიული ძალა.
- 10.1.3 ამ ხელშეკრულების საფუძველზე ბანკი საბანკო ოპერაციებს განახორციელებს ამ ხელშეკრულებაში, ავტომატური გადარიცხვების სერვისზე რეგისტრაციის განაცხადსა და ბანკის მიერ გავრცელებულ საინფორმაციო მასალაში მოცემული მოთხოვნების და პირობების გათვალისწინებით.
- 10.1.4 ავტომატური გადარიცხვების მომსახურების მისაღებად კლიენტმა ბანკს უნდა მიმართოს განაცხადით ამ ხელშეკრულების 1.2 პუნქტის შესაბამისად.
- 10.1.5 **კლიენტი ვალდებულია:**
- 10.1.5.1 ავტომატური გადარიცხვების სერვისზე რეგისტრაციის შესახებ განაცხადში მიუთითოს ერთი ან რამდენიმე ანგარიში (რომელთაგან ერთი აუცილებლად იქნება სალარო);
- 10.1.5.2 დამხმარე ანგარიშად აუცილებლად დარეგისტრირდეს უცხოურ ვალუტაში გახსნილი საკუთარი ანგარიში იმ შემთხვევაში, თუ ავტომატური გადარიცხვებით ხდება უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული თანხის (ეკვივალენტის ეროვნულ ვალუტაში) გადახდა;
- 10.1.5.3 განაცხადში მითითებულ ანგარიშებზე ყოველთვის იქონიოს ავტომატური გადარიცხვებისთვის საჭირო ნაშთი;
- 10.1.5.4 გადაიხადოს მომსახურების საფასური გადარიცხვის მომენტისთვის ბანკში მოქმედი ტარიფების შესაბამისად.
- 10.1.6 **კლიენტი ვალდებულია:**
- 10.1.6.1 ბანკის საინფორმაციო მასალაში დაფიქსირებული სერვისების საშუალებით მიიღოს ინფორმაცია მისი ანგარიშებიდან ავტომატური გადარიცხვების განხორციელების შესახებ;
- 10.1.6.2 შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები სერვისზე რეგისტრაციის თავდაპირველ განაცხადში დაფიქსირებულ მონაცემებში;
- 10.1.6.3 უარი განაცხადოს სერვისით სარგებლობაზე.
- 10.1.7 **ბანკი ვალდებულია:**
- 10.1.7.1 უზრუნველყოს კლიენტი ავტომატური გადარიცხვებით ბანკის მიერ გავრცელებულ საინფორმაციო მასალაში მოცემული პირობების დაცვით.
- 10.1.8 **ბანკი ვალდებულია:**
- 10.1.8.1 არ განახორციელოს ავტომატური გადარიცხვა (ანგარიშსწორება) კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე არასაკმარისი თანხის არსებობისას;
- 10.1.8.2 არ განახორციელოს ავტომატური გადარიცხვა (ანგარიშსწორება) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ან ბანკის წინაშე დავალიანების არსებობისას;
- 10.1.8.3 მის მიერ გავრცელებული საინფორმაციო მასალით (მათ შორის ბუკლეტებით, ბროშურებით, ბანკის ინტერნეტ-გვერდზე შესაბამისი ინფორმაციის განთავსებით და სხვა) განსაზღვროს ავტომატური გადარიცხვების შესრულებისა და კლიენტთან დაკავშირებული ან სხვა ნებისმიერი მიზეზით რომელიმე ავტომატური გადარიცხვის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში კლიენტისთვის შეტყობინების გარეშე ავტომატური გადარიცხვებით მომსახურების ცალმხრივად სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის ნესი.

11. სატელეფონო მომსახურება

- 11.1 **მომსახურების აღწერა**
- 11.1.1 სატელეფონო მომსახურება გულისხმობს კლიენტის მიერ ბანკში გამოუცხადებლად სატელეფონო კავშირის გამოყენებით ბანკის მიერ განსაზღვრული:
- 11.1.1.1 საბანკო ინფორმაციის მიღებას;
- 11.1.1.2 სხვადასხვა საბანკო სერვისით სარგებლობისთვის რეგისტრაციის და ცვლილებების შეტანას რეგისტრირებულ მონაცემებში;
- 11.1.1.3 ლიმიტების ფარგლებში სხვადასხვა საბანკო ოპერაციის განხორციელებას.
- 11.1.2 სატელეფონო მომსახურება ვრცელდება კლიენტის ყველა საბანკო ანგარიშზე. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს არ სურს სატელეფონო მომსახურების მიღება მის რომელიმე ანგარიშთან დაკავშირებით, ის ვალდებულია წერილობით ან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ფორმით განუცხადოს ბანკს ამის შესახებ.

- 11.1.3 სატელეფონო მომსახურების მისაღებად კლიენტმა ბანკს უნდა მიმართოს განაცხადით ამ ხელშეკრულების 1.2 პუნქტის შესაბამისად.
- 11.2 **კლიენტის იდენტიფიკაცია**
- 11.2.1 კლიენტს დასაშვებია კონვერტით გადაეცემა სპეციალური სატელეფონო კოდი, რომლის დასახელებითაც ხდება კლიენტის იდენტიფიკაცია სატელეფონო მომსახურების განვსის წინ. სატელეფონო კოდის დასახელების გარეშე არ გაიცემა ინფორმაცია ანგარიშის შესახებ, არ შესრულდება საბანკო ოპერაციები და არ განხორციელდება სერვის(ებ)ზე რეგისტრაცია. ბანკთან ყოველი სატელეფონო მომსახურების მომსახურების მიზნების ყოველ ჯერზე კლიენტმა უნდა დაასახელოს სატელეფონო კოდის მხოლოდ სამი ციფრი (სატელეფონო სერვისცენტრის ოპერატორის მითითების შესაბამისად). კლიენტმა არ უნდა დაასახელოს სამზე მეტი ციფრი თითო ჯერზე.
- 11.2.2 ბანკი უფლებამოსილია გამოიყენოს დამატებითი კითხვები კლიენტის იდენტიფიკაციის მიზნით.
- 11.2.3 ბანკი ვალდებულია დავადასტურებს კლიენტისთვის გადაცემული სატელეფონო კოდის კონფიდენციალობა და უარი უთხრას სატელეფონო მომსახურებაზე პირს, რომელიც არ, ან ვერ დასახელებს სატელეფონო კოდს.
- 11.2.4 იმ შემთხვევაში თუ ბანკს გაუჩნდება ეჭვი (მათ შორის დამატებითი კითხვებზე მიღებული პასუხების საფუძველზე), რომ ინფორმაციის მიღებას, ან ოპერაციის განხორციელებას ცდილობს არა კლიენტი, არამედ მესამე პირი, ბანკს უფლება აქვს უარი თქვას სატელეფონო დავალებების შესრულებაზე.
- 11.2.5 სატელეფონო საუბრისას კლიენტის მიერ სატელეფონო კოდის სამჯერ ზედიზედ შეცდომით დასახელების შემთხვევაში ბანკი შეაჩერებს კლიენტისთვის სატელეფონო მომსახურების განვსას. სატელეფონო მომსახურება აღდგება მას შემდეგ, რაც ბანკი თავად დაუკავშირდება კლიენტს ტელეფონით და მოახდენს მის იდენტიფიკაციას ბანკის მიერ დადგენილი წესით, სატელეფონო კოდის ან დამატებითი შეკითხვების მეშვეობით.
- 11.2.6 იმ შემთხვევაში, თუ სატელეფონო კოდი კლიენტის მიზეზით გახდება ცნობილი მესამე პირისთვის, ბანკი თავისუფლდება ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან ამით გამოწვეულ შედეგ(ებ)ზე.
- 11.2.7 სატელეფონო კოდის დაყარვის, ან გამკვლევის შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს ბანკს ამის შესახებ.
- 11.2.8 ბანკი ვალდებულია კლიენტის მიერ კოდის დაყარვის თაობაზე ზეპირი (ტელეფონით), ან წერილობითი შეტყობინების საფუძველზე უზრუნველყოს კლიენტის ანგარიშზე სატელეფონო მომსახურების შეჩერება, კლიენტის მხრიდან ახალი განჯარგულებების მიღებამდე. ზეპირი შეტყობინების შემთხვევაში კლიენტის იდენტიფიკაცია მოხდება ბანკის მიერ დადგენილი წესით სატელეფონო კოდის ან დამატებითი კითხვების მეშვეობით.
- 11.2.9 კლიენტის მიერ ბანკში ახალი ანგარიშის გახსნისას სატელეფონო მომსახურება განხორციელდება არსებული სატელეფონო კოდის გამოყენებით. ამ შემთხვევაში ბანკსა და კლიენტს შორის არ გაფორმდება ახალი ხელშეკრულება და ახალ ანგარიშზე გავრცელდება ამ ხელშეკრულების პირობები.
- 11.2.10 კლიენტს შეუძლია ამ ხელშეკრულების 11.2.1 პუნქტში აღნიშნული კოდით, დარეგისტრირდეს ბანკის მიერ რეგისტრაციის მომენტში შეთავაზებული ელექტრონული სერვისების მომხმარებლად.
- 11.3 **კლიენტის განცხადებები, დავალებები და თანხმობები**
- 11.3.1 კლიენტი წინასწარ აცხადებს, რომ მხოლოდ შესაბამისი მომსახურებების პირობების დეტალურად შესწავლის შემდეგ დარეგისტრირდება ამ სერვისების მომხმარებლად და რომ ამ ხელშეკრულების 11.2.1 ქვეპუნქტში აღნიშნული კოდის გამოყენებით რეგისტრაციის ნების გამოხატვა ჩაითვლება მის თანხმობად იმ სერვისის პირობებზე, რომლის მომხმარებლადაც კლიენტი დარეგისტრირდება სატელეფონო მომსახურების გამოყენებით.
- 11.3.2 კლიენტი ბანკს ავალდებს და უფლებას აძლევს ბანკთან ტელეფონით დაკავშირებისას, იდენტიფიკაციის შესაბამისი პროცედურის გავლის შემდეგ:
 - 11.3.2.1 მიაწოდოს მას ინფორმაცია მისი ანგარიშების შესახებ;
 - 11.3.2.2 მისი დავალებით შესრულოს ბანკის მიერ სატელეფონო მომსახურების ფარგლებში დაშვებული ოპერაციები.
 - 11.3.3 ამ ხელშეკრულებით კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ მისი ნებისმიერი მოთხოვნა საბანკო ინფორმაციის მიღების, სერვისით სარგებლობისთვის რეგისტრაციის, რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების შეტანის ან ოპერაციის განხორციელების შესახებ, დაფიქსირდეს ბანკის მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში და დავის შემთხვევაში ასეთ ჩანაწერს შპონდეს მტკიცებულებითი ძალა (გამოყენებული იქნეს მტკიცებულებად). ჩანაწერი მიიჩნევა ბანკის საკუთრებად და მისი შექმნიდან სამი წლის გასვლამდე ბანკი ვალდებულია, ბანკისთვის მისაღები ფორმით გადასცეს ის კლიენტს მისი წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღისა (ბანკის ეს ვალდებულება ვრცელდება მხოლოდ 2011 წლის 1 იანვრიდან განხორციელებულ ჩანაწერებზე).
- 11.3.4 კლიენტს შეუძლია ბანკის მიერ დადგენილ ფარგლებში მიიღოს ამ ხელშეკრულების 11.1.1.1 ქვეპუნქტში აღნიშნული მომსახურება მის მიერ ანგარიშის გახსნისას შეესაბამებულ დავალებებზე დაფიქსირებული კოდური სიგვით.

12. პლასტიკური ბარათი

- 12.1 **მომსახურების აღწერა**
- 12.1.1 პლასტიკური ბარათით მომსახურება გულისხმობს ბანკის მიერ გამოშვებული „ვიზა“ (VISA) ან „მასტერქარდ“ (MasterCard) პლასტიკური ბარათის (შემდგომში "ბარათის"), მეშვეობით, ბიზნეს-ბარათის გარდა, კლიენტის (შემდგომში "ბარათის მფლობელის") მიერ საბანკო ოპერაციების განხორციელებას.
- 12.1.2 ამ ხელშეკრულების საფუძველზე კლიენტს შეუძლია მიიღოს ერთი, ან რამდენიმე ბარათი, რომელთა ტიპი განისაზღვრება ბარათის მფლობელის მიერ ყოველ კონკრეტულ ბარათთან დაკავშირებით ხელმოწერილი განაცხადით, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
- 12.1.3 ბარათის გაცემისას ბარათის მფლობელის მობილური ტელეფონის ნომერი ავტომატურად რეგისტრირდება ბანკის SMS სერვისზე (სერვისით სარგებლობის წესები და პირობები მოცემულია ბანკის მიერ გავრცელებულ საინფორმაციო მასალაში). ბარათის მფლობელი უფლებამოსილია უარი განაცხადოს აღნიშნული სერვისით სარგებლობაზე, რის შესახებ ის ვალდებულია მიუთითოს განაცხადში.
- 12.1.4 ბარათით სარგებლობის წესები დეტალურად მოცემულია „ვიზა“ (VISA) და „მასტერქარდ“ (MasterCard) საერთაშორისო სავადამბელო სისტემების პროცედურების შესაბამისად ბანკის მიერ შედგენილ საინფორმაციო მასალაში, რომელიც ბარათის მფლობელს გადაეცემა ბარათთან ერთად. „ვიზა“ (VISA) და „მასტერქარდ“ (MasterCard) საერთაშორისო სავადამბელო სისტემების პროცედურები და წესები წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
- 12.1.5 ბარათის მფლობელი არის პირი, რომლის სახელზეც გაცემულია ბარათი. ბარათის მფლობელის იდენტიფიკაცია ხდება ბარათის ზედპირზე მითითებული სახელით, გვარით, მასზე დატანილი ხელმოწერის ნიმუშითა და საიდუმლო პერსონალური საიდენტიფიკაციო კოდით (პინ-კოდი).
- 12.1.6 ბარათით სარგებლობის პერიოდი განისაზღვრება ბარათზე მითითებული ვადის მიხედვით. ბარათის მოქმედების ვადა იწურება ბარათზე მითითებული თვის ბოლო დღის გასვლის შემდეგ.
- 12.1.7 ბარათით სარგებლობისათვის ბარათის მფლობელი ვალდებულია პირველი წლის მომსახურების საკომისიო გადაიხადოს ბარათის დაშვებამდე; ხოლო მომდევნო წლ(ებ)ის საკომისიო(ებ)ი ბარათის დაშვებიდან ყოველი სრული წლის გასვლის შემდეგ. ყოველი მომდევნო წლის მომსახურების საკომისიო საბარათო ანგარიშიდან ჩამოიწერება ავტომატურად, თუ ყოველი სრული წლის გასვლის მომენტიდან მომდევნო თვის 15 რიცხვამდე ბარათის მფლობელი არ დააბრუნებს ბარათს ამ ხელშეკრულების 12.4.6.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესით.
- 12.2 **ბარათთან დაკავშირებული პროცედურები**
- 12.2.1 ბარათით ოპერაციების წარმოებისათვის თითოეული ტიპის ბარათისთვის ბანკში გაიხსნება შესაბამისი საბარათო ანგარიშ(ებ)ი.

- 12.2.2 ბარათის მფლობელი უფლებამოსილია გამოიყენოს მის საბარათო ანგარიშზე არსებული თანხა ბარათის მომსახურების საკომისიოების და მინიმალური ნაშთის გამოკლებით, თანხის გადახარჯვის შემთხვევაში ძირითად თანხას ასევე გამოაკლებს გადახარჯვასთან დაკავშირებული საკომისიოები.
- 12.2.3 რისკების შემცირების მიზნით ბარათისა და საბარათო ანგარიშის გამოყენება შეიძლება დამატებით შეიზღუდოს ბანკის მიერ შესაბამისი ლიმიტების დანერგვის გზით.
- 12.2.4 ბარათის მფლობელის განჯარგულებით დასაშვებია საბარათო ანგარიშზე დამატებითი ბარათების გაცემა, დამატებითი ბარათი გაცემა და მისი მფლობელის ვინაობა განისაზღვრება ბარათის მფლობელის მიერ ხელმოწერილი განაცხადით.
- 12.2.5 ბანკს უფლება აქვს დააკავშიროს სხვადასხვა ვალუტის ანგარიში ერთ ბარათთან, ან რამდენიმე ერთი და იმავე ტიპის ბარათი ერთ ანგარიშთან. ვალუტების პრიორიტეტულობას განსაზღვრავს ბარათის მფლობელი.
- 12.2.6 ბარათის მისაღებად (მიუხედავად იმისა ძირითადია ის, თუ დამატებითი), ბარათის მფლობელმა ბანკს უნდა წარუდგინოს შესაბამისი განაცხადი, შეიტანოს, ან ჩარიცხოს ანგარიშზე მინიმალური ნაშთი და ბარათის წლიური მომსახურების საკომისიო ბანკის მიერ განსაზღვრული კარიდების შესაბამისად.
- 12.2.7 საბარათო ანგარიშზე ამ ხელშეკრულების 12.2.6 ქვეპუნქტში დასახელებული თანხ(ებ)ის ჩარიცხვის შემდეგ, ბანკის მიერ განსაზღვრულ ვადაში, ბანკი დაამზადებს და ბარათის მფლობელს გადასცემს ბარათს და ჰინ-კოდს შესაბამისი დოკუმენტაციის (პლასტიკური ბარათით სარგებლობის წესების) თანხლებით.
- 12.2.8 იმ შემთხვევაში, თუ ბარათის დამზადებიდან 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში ბარათის მფლობელი არ ჩაიბარებს ბარათს, ბანკს უფლება აქვს გაანადგუროს ბარათი. ამ შემთხვევაში ბარათის მფლობელს არ უბრუნდება მის მიერ გადახდილი საკომისიოები. ბარათზე რიცხული მინიმალური ნაშთი და სხვა თანხები ბარათის მფლობელს დაუბრუნდება ამ ხელშეკრულების 12.4.6.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესით.
- 12.3 საბარათო ანგარიშზე რიცხული თანხები, არასანქცირებული და ავტომატური ოვერდრაფტი**
- 12.3.1 მინიმალური ნაშთი არის თანხა, რომელიც დაბლოკილია საბარათო ანგარიშზე ბარათის მოქმედების ვადის განმავლობაში. მინიმალური ნაშთის ოდენობა განისაზღვრება ბარათის ტიპის მიხედვით, „ვიზა“ (VISA) და „მასთერქარდ“ (MasterCard) საერთაშორისო სავადადმხდლო სისტემების რეკომენდაციების გათვალისწინებით ბანკის მიერ დადგენილი წესებისა და პირობების შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ტრანზაქციის შედეგად საბარათო ანგარიშზე არსებული თანხა აღმოჩნდება მინიმალური ნაშთზე ნაკლები, ბარათის მფლობელი ვალდებული იქნება დაუყოვნებლივ შეიტანოს ან ჩარიცხოს საბარათო ანგარიშზე თანხა, რომელიც საკომისიო იქნება მინიმალური ნაშთის შესავსებად.
- 12.3.2 საბარათო ანგარიშზე რიცხული თანხების განჯარგვა დასაშვებია ბანკის მიერ დადგენილი ლიმიტების ფარგლებში, ხოლო მინიმალური ნაშთის თავისუფალი განჯარგვა შესაძლებელია მხოლოდ ანგარიშთან დაკავშირებული ყველა ბარათის გაუქმების შემთხვევაში ბანკის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.
- 12.3.3 იმ შემთხვევაში, თუ ბარათით ანგარიშსწორება განხორციელდება საბარათო ანგარიშის ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში, მაშინ ბარათის მფლობელის ანგარიშიდან მოხდება თანხის ჩამოწერა და კონვერტაცია. კონვერტაცია ბანკის ქსელში მოხდება ანგარიშსწორების დღეს ბანკის მიერ დადგენილი კომერციული კურსით, ხოლო ქსელის გარეთ „ვიზას“ (VISA) ან „მასთერქარდს“ (MasterCard) მიერ დაწესებული კურსით.
- 12.3.4 **არასანქცირებული ოვერდრაფტი** არის ბანკის თანხმობის (ნებართვის) გარეშე ბარათის მფლობელის საბარათო ანგარიშზე წარმოშობილი უარყოფითი ნაშთი (დავალიანება), გარდა ამ ხელშეკრულების 12.3.6 ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.
- 12.3.5 არასანქცირებული ოვერდრაფტის წარმოშობის შემთხვევაში ბარათის მფლობელი ვალდებული იქნება დაუყოვნებლივ შეავსოს თანხა მინიმალური ნაშთის ოდენობამდე.
- 12.3.6 **ავტომატური ოვერდრაფტი** არის ბარათის მფლობელის მიერ ბანკისგან მიღებული საკრედიტო რესურსი, რომლის ათვისების უფლებასაც ბარათის მფლობელი მოიპოვებს ბანკის მიერ მისი საკრედიტო პოლიტიკის შესაბამისად დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში.
- 12.3.7 ავტომატური ოვერდრაფტით სარგებლობის შემთხვევაში ბარათის მფლობელი ვალდებული იქნება დააბრუნოს ათვისებული (კრედიტის სახით მიღებული) თანხა ბანკის მიერ ავტომატური ოვერდრაფტის დაფარვისთვის გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
- 12.3.8 არასანქცირებული ან ავტომატური ოვერდრაფტით სარგებლობისათვის ბარათის მფლობელი ვალდებული იქნება გადაუხადოს ბანკს სარგებელი, რომლის წლიური განაკვეთი დგინდება არასანქცირებული ან ავტომატური ოვერდრაფტის წარმოშობის მომენტისთვის ბანკის მიერ არასანქცირებული ან ავტომატური ოვერდრაფტით სარგებლობისთვის დადგენილი კარიდების შესაბამისად, კალენდარული წლის 365 (სამას სამოცდახუთი) დღეზე გაანგარიშებით. სარგებელი (პროცენტი) ოვერდრაფტს დაერიცხება წარმოშობის თარიღიდან მისი სრულად დაფარვის (ფაქტობრივად გადახდის) თარიღამდე.
- 12.4 ბარათის და საბარათო ანგარიშის მოქმედების შეჩერება ან გაუქმება**
- 12.4.1 ბარათის მოქმედება შეჩერდება ბარათის მფლობელის სურვილის დაფიქსირების, ბარათის დაკარგვის ან მოპარვის შემთხვევაში. ბარათის მფლობელი ვალდებულია ბარათის დაკარგვის შესახებ დაუყოვნებლივ წერილობით ან ტელეფონით (ნომერზე +99532 272727) შეატყობინოს ბანკს. ბანკი უზრუნველყოფს ბარათის მოქმედების შეჩერებას ბარათის მფლობელის მიერ განსაზღვრული მეთოდის მიხედვით ბარათის მონაცემების შეტანით:
- 12.4.1.1 ლოკალური სტოპ-სიაში, რომელიც მაქსიმუმ 1 (ერთ) საბანკო დღეში უზრუნველყოფს ბარათის ბლოკირებას მხოლოდ ავტორიზებული ტრანზაქციებისთვის;
- 12.4.1.2 საერთაშორისო სტოპ-სიაში, რომელიც უზრუნველყოფს ბარათის სრულ ბლოკირებას (უავტორიზაციო ტრანზაქციებისთვის) მაქსიმუმ 14 (თოთხმეტი) საბანკო დღეში.
- 12.4.2 ბარათის მფლობელის მიერ ამ ხელშეკრულებით ან ბარათით სარგებლობის წესებით განსაზღვრული რომელიმე პირობის დარღვევის შემთხვევაში ბანკს ნებისმიერ დროს შეუძლია შეაჩეროს ან დაბლოკოს როგორც ძირითადი, ისე დამატებითი ბარათების მოქმედება.
- 12.4.3 ბარათზე მითითებული ვადის განმავლობაში ბარათის მფლობელი ვალდებულია აანაზღაუროს ბლოკირებული ბარათით განხორციელებული უავტორიზაციო ტრანზაქციებით წარმოშობილი ზიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბლოკირება არ განხორციელდა საერთაშორისო სტოპ-სიაში შეტანით.
- 12.4.4 ბარათის მფლობელი უფლებამოსილია გაასაჩივროს საერთაშორისო სტოპ-სიაში შეტანის გზით ბლოკირებული ბარათით განხორციელებული ტრანზაქცია.
- 12.4.5 ბარათის მფლობელი ვალდებულია გადაიხადოს ბარათის სტოპ-სიაში შეტანის საკომისიო.
- 12.4.6 საბარათო ანგარიში დაიხურება:
- 12.4.6.1 ბარათის მფლობელის წერილობით განაცხადის საფუძველზე ან ბარათის მოქმედების ვადის გასვლიდან 30 (ოცდაათი) დღის შემდგომ, თუ ამ ხნის განმავლობაში ბარათის მფლობელი წერილობით არ განაცხადებს მოთხოვნას ბარათის მოქმედების გაგრძელების შესახებ. ასეთ შემთხვევაში, საბარათო ანგარიში ჩაიხურება დახურულად და ბარათის მფლობელს დაუბრუნდება თანხები ყველა ბარათის (მათ შორის დამატებითი ბარათ(ებ)ის) ბანკისთვის გადაცემიდან არანაკლებ 30 (ოცდაათი) დღის ვადაში და მხოლოდ მას შემდეგ, რაც სრულად დაიფარება ბანკის მიმართ არსებული ყველა დავალიანება. იმ შემთხვევაში თუ საბარათო ანგარიში ძირითადი ანგარიშის სატარიფო ჰაეკისათვის და სხვა ალტერნატიული ანგარიში, რომლის მითითებაც შესაძლებელია ძირითად ანგარიშზე (მიმდინარე საბარათო) არ აქვს ბარათის მფლობელს, ბარათთან ერთად ავტომატურად ხდება სატარიფო ჰაეკის დახურვა. ამასთან, უქმდება ყველა პირობა, რომელიც გათვალისწინებული იყო სატარიფო ჰაეკის პირობებით.
- 12.4.6.2 ბანკსა და „ვიზას“ (VISA) ან „მასთერქარდს“ (MasterCard) შორის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში. ამ შემთხვევაში ბანკი ვალდებულია 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში შეატყობინოს ბარათის მფლობელს საბარათო ანგარიშის დახურვის შესახებ.
- 12.4.7 ბარათით განხორციელებულ ტრანზაქციებს ბანკი აკონტროლებს სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის – მონიტორინგის მოდულის მეშვეობით, რაც ნიშნავს იმას, რომ ბანკს უფლება აქვს დროებით შეაჩეროს ბარათის მოქმედება საეჭვო ტრანზაქციების დაფიქსირებისას (მონიტორინგი). ბარათის მფლობელი უფლებამოსილია უარი განაცხადოს მისი ბარათის მონიტორინგზე გარკვეული პერიოდის განმავლობაში, რაც ფიქსირდება განაცხადით.

- 12.5 **მხარეთა ვალდებულებები და უფლებები**
- 12.5.1 ბარათის მფლობელი ვალდებულია:
- 12.5.1.1 გადაცემის მომენტში შეამოწმოს იმ ჯონვერტის მთლიანობა, რომელშიც ჰინ-კოდი მოთავსებული;
- 12.5.1.2 შეინახოს ბარათით განხორციელებული ყველა ოპერაციის დამადასტურებელი საბუთი ასეთი ოპერაციის განხორციელებიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში და საჭიროების შემთხვევაში წარუდგინოს ისინი ბანკს.
- 12.5.1.3 თავის საბარათო ანგარიშზე ოპერაციების (ტრანზაქციების) აწივების შემთხვევაში წერილობით მიმართოს ბანკს ოპერაციის განხორციელებიდან (ტრანზაქციიდან) 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, საჩივრები თანხის დაბრუნებაზე არ მიიღება. ამასთან ინტერნეტში განხორციელებული ტრანზაქციების გასაჩივრების უფლება ბარათის მფლობელს არ აქვს. ბარათის მფლობელი ვალდებულია გადაიხადოს „ვიზას“ (VISA) ან „მასთერქარდის“ (MasterCard) მიერ პრობლემის გამოძიებასთან დაკავშირებით დაწესებული დამატებითი მომსახურებების საფასური.
- 12.5.1.4 არ დაუშვას ბარათის ან ჰინ-კოდის შესამე პირებისთვის გადაცემა (გამყვანება);
- 12.5.1.5 ანაზღაუროს ბანკის მიერ გაწეული ის დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია „ვიზას“ (VISA) ან „მასთერქარდის“ (MasterCard) მიერ ბარათის დამატებითი სახის ფასთან მომსახურებებთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
- 12.5.2 ტრანზაქციის (ოპერაციის) გასაჩივრების შედეგად თანხის დაბრუნების შემთხვევაში, ბანკი ვალდებულია მაქსიმუმ 90 (ოთხმოცდაათი) დღის განმავლობაში უზრუნველყოს კლიენტის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა.
- 12.5.3 ბანკი უფლებამოსილია:
- 12.5.3.1 უზრუნველყოს საჯარო ან მომსახურების ობიექტის მიერ (მათ შორის ჯაზინო, ტოტალიზატორი და სხვა) მინიმალური ნაშთის ზევით ჩარიცხული თანხის საბარათო ანგარიშზე ასახვა ჩარიცხვიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში.
- 12.5.3.2 დამლოკოს ბარათი (შეაჩეროს ოპერაციები) იმ შემთხვევაში, თუ ბანკს აქვს ეჭვი, რომ ბარათის გამოყენებით ან საბარათო ანგარიშზე ხორციელდება არასანქცირებული ან მართლსაწინააღმდეგო ოპერაციები.
- 12.5.4 ბანკი არ არის პასუხისმგებელი:
- 12.5.4.1 ბარათის მფლობელსა და მომსახურების ობიექტებს შორის წარმოქმნილ სადავო სიტუაციებზე.
- 12.5.4.2 ბარათის არასანქცირებული გამოყენებისათვის იმ ფაქტების გამო, რომლებიც ბარათის მფლობელის მიზნით არის გამოწვეული, მათ შორის, ბარათის მფლობელის მიერ ბარათზე მონიტორინგის გაუქმების მოთხოვნის მოქმედების პერიოდში.
- 12.5.5 ბარათის მფლობელის (კლიენტის) რომელიმე ანგარიშზე საინჟასო დავალების ან ყადაღის დადების აქტის არსებობის შემთხვევაში ბარათის მფლობელის (კლიენტის) ანგარიშზე დაშვებული საკრედიტო ლიმიტი ან/და ოვერდრაფტი ითვლება ავტომატურად გაუქმებულად. საინჟასო დავალების შესრულების ან გაუქმების (უკან გათხოვის) ან ყადაღის დადების (უკან გათხოვის) შემთხვევაში ბანკს უფლება ექნება ცალმხრივად აღადგინოს საკრედიტო ლიმიტი.
- 12.5.6 ამ ხელშეკრულების 12.5.5 ქვეპუნქტის მოქმედება ვრცელდება ყველა ტიპის პლასტიკურ ბარათზე, მათ შორის, პლასტიკურ ბარათზე „ვიზა“ (VISA) და „მასთერქარდ“ (MasterCard), „განვადების ბარათზე“, „თიბისი ქარდზე“ და სხვა ნებისმიერ პლასტიკურ ბარათზე ისევე, როგორც რომელიმე პლასტიკურ ბარათთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკრედიტო პროექტზე.
- 12.5.7 იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი მუშაობს სანარმოში/ორგანიზაციაში, რომელიც ჩართულია ბანკის სახელფასო პროექტში, ამ ხელშეკრულებით კლიენტი/ბარათის მფლობელი სანარმო/ორგანიზაციის დირექტორს (წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირს) ანიჭებს უფლებას, კლიენტის/ბარათის მფლობელის სახელით:
- 12.5.7.1 ხელი მოაწეროს და წარუდგინოს ბანკს განაცხადი სახელფასო პლასტიკური ბარათის დამზადების/განახლების ან/და ოვერდრაფტის/საკრედიტო ლიმიტის დაშვების შესახებ ან/და საგადახდო დავალება, რომლის საფუძველზე განხორციელდება კლიენტის/ბარათის მფლობელის სახელფასო ანგარიშზე ერთვულ ვალუტაში ჩარიცხული თანხის კონვერტაცია (კონვერსია) უცხოურ ვალუტაში ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად;
- 12.5.7.2 ბანკისგან მიიღოს (ჩაიბაროს) და კლიენტს/ბარათის მფლობელს გადასცეს სახელფასო პლასტიკური ბარათი, ჰინ-კოდი ან/და სატელეფონო კოდი.
- 12.5.8 კლიენტის/ბარათის მფლობელის დამსაქმებელი სანარმო/ორგანიზაციის დირექტორს (წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირს) უფლება აქვს ამ ხელშეკრულების 12.5.7 ქვეპუნქტში აღწერილი უფლებამოსილება გადასცეს სანარმო/ორგანიზაციის ბუღალტერს ან/და სხვა პირს).

13. მომსახურება მოკლე ტექსტური შეტყობინებით (SMS სერვისი)

- 13.1 **მომსახურების აღწერა**
- 13.1.1 მოკლე ტექსტური შეტყობინებით მომსახურება ვულთსხმობს კლიენტის მიერ ბანკში გამოცხადებულად მის მიერ ბანკისთვის წარდგენილ განაცხადში დაფიქსირებული მობილური ტელეფონის ნომრის მეშვეობით სპეციალური მოკლე ტექსტური შეტყობინების ამისთვის განკუთვნილ ნომერზე გაგზავნით ბანკის მიერ განსაზღვრული:
- 13.1.1.1 საბანკო ინფორმაციის მიღებას;
- 13.1.1.2 ლიმიტების ფარგლებში სხვადასხვა საბანკო ოპერაციის განხორციელებას.
- 13.1.2 მოკლე ტექსტური შეტყობინებით მომსახურების მიღებისთვის კლიენტმა ბანკს უნდა მიმართოს განაცხადით ამ ხელშეკრულების 1.2 პუნქტის შესაბამისად ან ამ ხელშეკრულების 11.2.1 ქვეპუნქტში აღნიშნული კოდის გამოყენებით დაუკავშირდეს ბანკის სატელეფონო სერვისცენტრს (ნომერზე +99532 272727). განცხადებაში ან სატელეფონო საუბრისას კლიენტმა უნდა მიუთითოს მობილური ტელეფონის ნომერი და მისი საბანკო ანგარიში, რომელთა გამოყენებითაც მოხდება მოკლე ტექსტური შეტყობინებით მომსახურება.
- 13.1.3 მოკლე ტექსტური შეტყობინებით მომსახურებაზე ვრცელდება ამ ხელშეკრულების პირობები ამ მეხლით დადგენილი გამონაკლისების გათვალისწინებით.
- 13.1.4 ამ ხელშეკრულების მე-13 მუხლში მოცემული პირობები გამოიყენება კლიენტის უსაფრთხო ყველა საბანკო ანგარიშთან მიმართებით. კლიენტის მიერ ბანკში ახალი ანგარიშის გახსნისას მოკლე ტექსტური შეტყობინებით მომსახურება განხორციელდება ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. ამ შემთხვევაში ბანკსა და კლიენტს შორის არ გაფორმდება ახალი ხელშეკრულება და ახალ ანგარიშზე გავრცელდება ამ ხელშეკრულების პირობები.
- 13.2 **მხარეთა უფლებები და ვალდებულებები**
- 13.2.1 **კლიენტის ვალდებულება:**
- 13.2.1.1 მოკლე ტექსტური შეტყობინება გაგზავნის ბანკის მიერ მითითებულ ნომერზე ბანკის მიერ გავრცელებულ საინფორმაციო მასალაში აღწერილი ფორმატით;
- 13.2.1.2 არ დაუშვას მისი კუთვნილი მობილური ტელეფონის აპარატის ან/და სიმ-ბარათის მოხვედრა შესამე პირის განკარგულებაში;
- 13.2.1.3 მობილური ტელეფონის აპარატის, სიმ-ბარათის ან/და ნომრის შეცვლის ან/და დაყარვის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს ტელეფონით (ნომერზე +99532 272727), წერილობით, ინტერნეტ-ბანკით ან ბანკი-კლიენტით.
- 13.2.2 **ბანკის ვალდებულება:**
- 13.2.2.1 კლიენტის მიერ ტელეფონის ნომრის შეცვლის, მობილური ტელეფონის აპარატის ან/და სიმ-ბარათის დაყარვის თაობაზე ზეპირი (ტელეფონით), წერილობითი ან ინტერნეტ-ბანკის/ბანკი-კლიენტის მეშვეობით კლიენტისგან მიღებული შეტყობინების საფუძველზე უზრუნველყოს მოკლე ტექსტური შეტყობინებით მომსახურების შეჩერება მომსახურების აღდგენის თაობაზე კლიენტის განცხადების მიუხედავად. კლიენტის მიერ ბანკისთვის ზეპირი (სატელეფონო) განცხადების წარდგენის შემთხვევაში კლიენტის იდენტიფიკაცია მოხდება სატელეფონო კოდით ან დამატებითი კითხვების მეშვეობით.
- 13.2.3 **ბანკი უფლებამოსილია:**
- 13.2.3.1 არ შეასრულოს კლიენტის დავალება კლიენტის ანგარიშზე საკმარისი თანხის არარსებობის ან/და კლიენტის მიერ ბანკისთვის არასწორი (ამ ხელშეკრულების ან ბანკის მიერ გავრცელებული საინფორმაციო მასალის პირობებთან შეუსაბამო) შეტყობინების გაგზავნის ან ბანკის მიმართ კლიენტის დავალიანების არსებობის შემთხვევაში;
- 13.2.3.2 კლიენტს გაუზავნოს სარეკლამო მინაარსის მოკლე ტექსტური შეტყობინებები;

13.2.3.3 კლიენტს გაუგზავნოს მოკლე ტექსტური შეტყობინება კრედიტის (სესხის, ოვერდრაფტის, საკრედიტო ლიმიტის ან/და სხვა საკრედიტო პროდუქტის) ოდენობის, დაფარვის თარიღის, დავალიანების ან/და შესრულებული ავტომატური გადარიცხვის შესახებ (ბანკი არ არის ვალდებული კლიენტს გაუგზავნოს ასეთი შეტყობინება და ნებისმიერ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, მიიღებს თუ არა ბანკის შეტყობინებას, კლიენტი ვალდებულია დროულად დაფაროს კრედიტი (სესხი, ოვერდრაფტი, საკრედიტო ლიმიტი ან/და სხვა საკრედიტო პროდუქტი) და გადაიხადოს სხვა გადასახდებები (საპროცენტო სარგებელი, პირგასამტეხლო, საკომისიო და სხვა).

14. მომსახურება მოზილური ბანკით

14.1 მომსახურების აღწერა

14.1.1 მოზილური ბანკით მომსახურება გულისხმობს კლიენტის მიერ ბანკში გამოყენებულად მის კუთვნილ მოზილური ტელეფონის აპარატში ჩანერილი (ინსტალირებული) პროგრამის გამოყენებით ბანკის მიერ განსაზღვრული:

14.1.1.1 საბანკო ინფორმაციის მიღებას;

14.1.1.2 სხვადასხვა საბანკო მომსახურებით (სერვისით) სარგებლობისთვის რეგისტრაციას და ცვილებების შეტანას რეგისტრირებულ მონაცემებში);

14.1.1.3 ლიმიტების ფარგლებში სხვადასხვა საბანკო ოპერაციის განხორციელებას.

14.1.2 მოზილური ბანკით მომსახურების მიღებისთვის კლიენტმა საკუთარი მოზილური ტელეფონის აპარატის მეხსიერებაში ბანკის საინფორმაციო მასალაში მითითებული ინტერნეტ-გვერდიდან უნდა გადაწეროს და გაააქტიუროს სპეციალური კომპიუტერული პროგრამა (შემდგომში „პროგრამა“).

14.1.3 მოზილური ბანკით მომსახურებაზე ვრცელდება ამ ხელშეკრულების პირობები ამ მუხლით დადგენილი გამონაკლისების გათვალისწინებით.

14.1.4 ამ ხელშეკრულების მე-14 მუხლში მოცემული პირობები გამოიყენება კლიენტის უკლებლივ ყველა საბანკო ანგარიშთან მიმართებით.

14.2 კლიენტის იდენტიფიკაცია

14.2.1 კლიენტი საბანკო მომსახურებით (სერვისით) სარგებლობისთვის რეგისტრაციას ახორციელებს ამ ხელშეკრულების 11.2.1 ქვეპუნქტში აღნიშნული კოდის გამოყენებით.

14.2.2 კოდის პირველივე გამოყენების შემდეგ კლიენტი ვალდებულია შეცვალოს ის ახალი პაროლით მოზილური ბანკით სარგებლობისთვის (შემდგომში „პაროლი“).

14.2.3 კლიენტი ვალდებულია დაიცვას მის მიერ შექმნილი პაროლის კონფიდენციალობა და არ დაუშვას მისი მოხვედრა მესამე პირის განკარგულებაში.

14.2.4 მისი კუთვნილი მოზილური ტელეფონის აპარატის სხვა პირისთვის გადაცემის წინ კლიენტი ვალდებულია, წაშლოს მოზილური ტელეფონის აპარატის მეხსიერებაში ჩანერილი პროგრამა.

14.2.5 კოდის გამეორების ან მოზილური ტელეფონის დაკარგვის შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია, დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს ბანკს ამის შესახებ.

14.2.6 იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის მიზილური სატელეფონო კოდი ან პაროლი ცნობილი გახდა მესამე პირისთვის, ბანკი თავისუფლდება ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან ამით გამოწვეულ შედეგებზე.

14.2.7 ბანკი ვალდებულია კლიენტის მიერ კოდის გამეორების ან ტელეფონის დაკარგვის თაობაზე ზეპირი (ტელეფონით), წერილობითი, ან ინტერნეტ-ბანკის მეშვეობით შეტყობინების საფუძველზე უზრუნველყოს კლიენტის ანგარიშებზე მოზილური ბანკით მომსახურების შეჩერება კლიენტის მხრიდან ახალი დავალების მიღებამდე. ზეპირი შეტყობინების შემთხვევაში კლიენტის იდენტიფიკაცია მოხდება სატელეფონო კოდის, ან დამატებითი კითხვების მეშვეობით.

14.2.8 კლიენტის მიერ ბანკში ახალი ანგარიშის გახსნისას მოზილური ბანკით მომსახურება განხორციელდება კლიენტის მიერ ამ ხელშეკრულების 14.2.2 ქვეპუნქტის შესაბამისად შექმნილი პაროლის გამოყენებით. ამ შემთხვევაში ბანკსა და კლიენტს შორის არ გაფორმდება ახალი ხელშეკრულება და ახალ ანგარიშზე გავრცელდება ამ ხელშეკრულების პირობები.

14.3 კლიენტის განცხადებები, დავალებები და თანხმობები

14.3.1 კლიენტი წინასწარ აცხადებს, რომ მხოლოდ შესაბამისი ელექტრონული სერვისების პირობების დეტალურად შესწავლის შემდეგ და რეგისტრირდება ამ სერვისების მომხმარებლად და რომ ამ ხელშეკრულების 11.2.1 ქვეპუნქტში დასახელებული კოდით ან ამ ხელშეკრულების 14.2.2 ქვეპუნქტის შესაბამისად მის მიერ შექმნილი პაროლის გამოყენებით რეგისტრაციის ნების გამოხატვა პროგრამის მეშვეობით ჩაითვლება მის თანხმობად იმ სერვისის პირობებზე, რომლის მომხმარებლადც და რეგისტრირდება კლიენტი.

14.3.2 ამ ხელშეკრულებით კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ მისი ნებისმიერი მოთხოვნა (დავალბება) საბანკო ინფორმაციის მიღების, სერვისით სარგებლობისთვის რეგისტრაციის, რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების შეტანის ან ოპერაციის განხორციელების შესახებ დაფიქსირდეს ბანკის მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში და დავის შემთხვევაში ასეთი ჩანაწერს შკონდეს მტკიცებულებითი ძალა (გამოყენებული იქნეს მტკიცებულებად). მხარეთა შეთანხმებით ასეთი ჩანაწერები მიიჩნევა ბანკის საკუთრებად და მისი შექმნიდან სამი წლის გასვლამდე ბანკი ვალდებულია ბანკისთვის მისაღები ფორმით, გადასცეს ის კლიენტს მისი წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღისა;

14.3.3 კლიენტი მის მიერ მოზილური ბანკით განხორციელებული კომუნალური გადახდებისას ვალდებულია დაიცვას აბონენტის ნომრის ჩანერის ფორმატი, წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია გააუქმოს ტრანზაქცია და დააბრუნოს გადახდილი თანხა კლიენტის ანგარიშზე.

15. მომსახურება ანაბრით

15.1 მომსახურების აღწერა

15.1.1 ანაბრით მომსახურება გულისხმობს კლიენტის (შემდგომში “მეანაბრის”) განაცხადის საფუძველზე ბანკის მიერ მეანაბრისთვის საანაბრო ანგარიშის გახსნას და ანგარიშზე რიცხული თანხისთვის საპროცენტო სარგებლის დარიცხვას.

15.1.2 მეანაბრეს შეუძლია ისარგებლოს ვადიანი და მოთხოვნამდე ანაბრებით და მათი სახესხვაობებით (მოდიფიკაციებით).

15.1.3 ანაბრით მომსახურების მისაღებად მეანაბრეს აუცილებლად უნდა შკონდეს საანგარიშსწორებო (მიმდინარე, საბარათო, სარეალთხავიო ან სხვა მსგავსი) ანგარიში.

15.2 ანაბრისთვის საპროცენტო სარგებლის დარიცხვა

15.2.1 ანაბრისთვის საპროცენტო სარგებლის დარიცხვა ხდება წელიწადში 365 დღეზე გადაანგარიშებით მხარეთა მიერ ყოველ კონკრეტულ ანაბართან დაკავშირებით ხელმოწერილი ანაბრის ხელშეკრულებისა და ბანკის მიერ გავრცელებული საინფორმაციო მასალის (მათ შორის ბუკეტები, ბროშურები, ბანკის ინტერნეტ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია და სხვა) შესაბამისად.

15.2.2 ანაბრისთვის დასარიცხი საპროცენტო სარგებლის გამოანგარიშება იწყება თანხის ანგარიშზე შეტანის ან ჩარიცხვის დღის მომდევნო სამუშაო დღიდან.

15.3 ბანკის ვალდებულებები და უფლებები

15.3.1 ბანკი ვალდებულია:

15.3.1.1 მიიღოს ანაბარი და დარიცხოს მას საპროცენტო სარგებელი ამ ხელშეკრულების შესაბამისად;

15.3.1.2 ანაბრის ვადის გასვლის ან მეანაბრის მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) კალენდარული დღისა (ანაბრის ტიპის შესაბამისად) ანაბრის თანხა და დარიცხული სარგებელი გადასცეს მეანაბრეს იმავე ვალუტაში.

15.3.2 ბანკი უფლებამოსილია:

15.3.2.1 განკარგოს საანაბრო ანგარიშზე რიცხული თანხა საკუთარი სახელითა და შეხედულებისამებრ;

- 15.3.2.2 ყანონმდებლობით დადგენილი წესით, ოდენობითა და პერიოდულობით ბიუჯეტის სასარგებლოდ გადარიცხოს სამშრომლო გადასახადი ანაბარზე დარიცხვით საპროცენტო სარგებლისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- 15.3.2.3 ყანონმდებლობის ან ბანკთან დადებული ნებისმიერი ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებების შესრულების მიზნით, შენაბრის შემდგომი თანხმობის, ან ნებაართვის გარეშე, ასეთი ვალდებულების წარმოშობის შემდეგ ნებისმიერ დროს უაქვეპოო წესით ჩამოწეროს თანხები შენაბრის ნებისმიერი საანაბრო ანგარიშიდან ან/და დახუროს (შენწყობის) ანაბარი;
- 15.3.3 შენაბრის დამატებითი თანხმობის გარეშე გაუხსნას შენაბრის საანგარიშსწორებო (მიმდინარე, საბარათე, სარეალიზაციო და სხვა მსგავსი) ან/და მოთხოვნამდე ანაბრის სადებოზიტო ანგარიში იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ შენაბრის არ აქვს ასეთი ანგარიში (ამ შემთხვევაში ეს ხელშეკრულება ან/და კლიენტის მიერ ხელმოწერილი ნებისმიერი განცხადი, რომლითაც ის უერთდება ამ ხელშეკრულებას ჩაითვლება კლიენტის განაცხადად საანგარიშსწორებო (მიმდინარე, საბარათე, სარეალიზაციო და სხვა მსგავსი) ან/და მოთხოვნამდე ანაბრის სადებოზიტო ანგარიშის გახსნის შესახებ);
- 15.3.4 შენაბრის საანგარიშსწორებო (მიმდინარე, საბარათე, სარეალიზაციო და სხვა) ან/და მოთხოვნამდე ანაბრის ანგარიშზე ანაბრის გახსნის ან/და ანაბრისთვის თანხის დამატებით დანიშნულებით შეტანილი ან/და ჩარიცხული თანხა ავტომატურად (შენაბრის დამატებითი თანხმობის გარეშე) გადარიცხვოს შენაბრის საანაბრო (სადებოზიტო) ანგარიშზე.
- 15.4 ვალიანი** ("ვალდანი", "ვალდანი +", "ჩემი მიზანი", "საბავშვო", "ოქროს", "ბონუს") ანაბრის განსაკუთრებული პირობები
- 15.4.1 ვალიანი ანაბრის შემთხვევაში საპროცენტო სარგებელი დაერიცხება საანაბრო ანგარიშზე არსებულ ნაშთს.
- 15.4.2 ვალიანი ანაბრისთვის დარიცხული საპროცენტო სარგებელი შენაბრის მიერ მითითებულ ანგარიშზე ჩარიცხება წინასწარ, ყოველთვიურად ან ანაბრის ვალის გასვლის (ამონერვის) შემდეგ შენაბრისა და ბანკს შორის გაფორმებული ანაბრის ხელშეკრულების შესაბამისად.
- 15.4.3 იმ შემთხვევაში, თუ შენაბრე აირჩევს საპროცენტო სარგებლის ყოველთვიურად ჩარიცხვას, დარიცხული სარგებლის ჩარიცხვა შენაბრის მიერ მითითებულ ანგარიშზე მოხდება ყოველი თვის იმ რიცხვში, რომელშიც გაიხსნა ანაბარი.
- 15.4.4 იმ შემთხვევაში, თუ შენაბრის განაცხადში აღნიშვული თანხა ანგარიშზე არ იქნება შეტანილი ან ჩარიცხული განაცხადის გაკეთებიდან ერთი დღის ვადაში, ბანკისა და შენაბრის შეთანხმება (ხელშეკრულება) ანაბრის გახსნის შესახებ ჩაითვლება ავტომატურად გაუქმებულად.
- 15.4.5 იმ შემთხვევაში, თუ შენაბრე ანაბრის ვალის გასვლამდე მოითხოვს მისთვის ანაბრის დაბრუნებას, ანაბრისთვის სარგებლის დარიცხვა მოხდება ბანკის მიერ განსაზღვრული, განსხვავებული (შემცირებული) საპროცენტო განაკვეთის მიხედვით.
- 15.4.6 ამ ხელშეკრულების 15.4.5 ქვეპუნქტში აღწერილ შემთხვევაში შენაბრე ვალდებული იქნება, გადაუხადოს ბანკს პირგასამტეხლო, რომელიც ცოლი იქნება სხვაობისა ანაბარზე სტანდარტულად დასარიცხ და ამ ხელშეკრულების 15.4.5 ქვეპუნქტის შესაბამისად დარიცხულ საპროცენტო სარგებლის ოდენობებს შორის.
- 15.4.7 ანაბრის ვალის გასვლის შემდეგ ანაბრის ვადა ავტომატურად გაგრძელდება ანაბრის ხელშეკრულებაში მითითებული ვალით მხარეთა შეთანხმების არსებობის შემთხვევაში. ანაბრის ვალის ავტომატური გაგრძელებისას (პროლონგაციისას) ყოველი ახალი ანაბრის გახსნის თარიღი დაემთხვევა წინა ანაბრის ვალის გასვლის თარიღს, ხოლო საპროცენტო სარგებელი საშემოსავლო გადასახადის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდის შემდეგ დაემატება ანაბრის ძირითად თანხას (მოხდება კაპიტალიზაცია) ან ჩარიცხება შენაბრის სხვა ანგარიშზე შენაბრის სურვილის შემთხვევაში. ანაბრის ვალის ავტომატურად გაგრძელების შემთხვევაში ანაბარზე გაგრძელდება ბანკის მიერ ვალის გაგრძელების დროს ამ სახის ანაბრისთვის დადგენილი პირობები.
- 15.4.8 ბანკს უფლება აქვს ანაბრის ვალის გასვლის შესახებ შენაბრის აცნობოს მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) მეშვეობით ან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ფორმით. შენაბრის შეტყობინება გაეზავლება მის მიერ ანაბრის გახსნის მომენტში ბანკისთვის წარდგენილ განაცხადში დაფიქსირებულ მობილური ტელეფონის ნომერზე. კლიენტი ვალდებულია შეტყობინოს ბანკს ამ ნომრის შეცვლის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკს არ ავებს დამდგარ შედეგებს.
- 15.4.9 "საბავშვო" ანაბრის საპროცენტო სარგებლის განაკვეთი ფიქსირებულია ანაბრის გახსნიდან ერთი წლის განმავლობაში. ამ ვალის გასვლისთანავე ანაბრის საპროცენტო სარგებლის განაკვეთი შეიცვლება იმ მომენტისთვის ბანკის მიერ "საბავშვო" ანაბრისთვის დადგენილი საპროცენტო სარგებლის განაკვეთის შესაბამისად. ანაბრის გახსნიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ განხორციელებულ დამატებით შენატანებს (ტრანშებს) საპროცენტო სარგებელი დაერიცხება შესაბამისი შენატანის (ტრანშის) განხორციელების მომენტისთვის ბანკის მიერ "საბავშვო" ანაბრისთვის დადგენილი საპროცენტო სარგებლის განაკვეთის შესაბამისად.
- 15.4.10 "ვალდანი +" ანაბრის ყოველ დამატებით შენატანს (ტრანშს) საპროცენტო სარგებელი დაერიცხება ანაბრის ვალის გასვლამდე დარჩენილი ვალის შესაბამისი "ვალდანი" ანაბრისთვის ბანკის მიერ დადგენილი საპროცენტო სარგებლის განაკვეთის შესაბამისად.
- 15.5 მოთხოვნამდე ანაბრის განსაკუთრებული პირობები**
- 15.5.1 შემნახველი ანაბრის შემთხვევაში საპროცენტო სარგებელი დაერიცხება ყოველი საოპერაციო დღის ბოლოს საანაბრო ანგარიშზე არსებულ ნაშთს.
- 15.5.2 ანაბრის "ჩემი სეიფი" შემთხვევაში საპროცენტო სარგებელი დაერიცხება ჯალენდარული თვის პირველი რიცხვიდან იმავე თვის ბოლო რიცხვის ჩათვლით პერიოდში ყოველი საოპერაციო დღის ბოლოს საანაბრო ანგარიშზე დაფიქსირებულ ნაშთებს შორის უმცირესს.
- 15.5.3 მოთხოვნამდე ანაბრისთვის (შემნახველი ანაბრისთვის და ანაბრისთვის "ჩემი სეიფი") დარიცხული საპროცენტო სარგებელი შენაბრის მიერ მითითებულ ანგარიშზე ჩარიცხება თვეში ერთხელ, ყოველი ჯალენდარული თვის ბოლო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ ჯალენდარული თვის ბოლო დღე დაემთხვევა დასვენების ან უქმე დღეს საპროცენტო სარგებლის ჩარიცხვა მოხდება მომდევნო სამუშაო დღეს.
- 15.5.4 მოთხოვნამდე ანაბრის საანაბრო ანგარიშზე თანხის შეტანა/ჩარიცხვა და ამ ანგარიშიდან თანხის გატანა/გადარიცხვა (მხოლოდ შენაბრის ანგარიშებზე) შეუზღუდავია.
- 15.5.5 ბანკი უფლებამოსილია, ცალმხრივად შეცვალოს მოთხოვნამდე ანაბრის საპროცენტო სარგებლის განაკვეთი ან/და საპროცენტო სარგებლის დარიცხვის მეთოდი, რის შესახებაც ბანკი, შენაბრის ინფორმირებას უზრუნველყოფს ცვლილებამდე 2 (ორი) ჯალენდარული დღით ადრე ფილიალებისა და სერვისცენტრების ოფისებში ან ინტერნეტგვერდზე www.tbcbank.ge შესაბამისი ინფორმაციის განთავსების მეშვეობით.

16. საბრუნებო პროდუქტების ზოგადი პირობები

- 16.1 ამ ხელშეკრულების საფუძველზე კლიენტს/ბარათის მფლობელს შეუძლია ისარგებლოს შემდეგი საკრედიტო პროდუქტებით: სამომხმარებლო და სტუდენტური სესხებით, სწრაფი განვადებით, პლასტიკურ ბარათზე დაშვებული საკრედიტო ლიმიტით ან ოვერდრაფტით, განვადების ბარათით და "თიბისი ქარდით".
- 16.2 ამ ხელშეკრულების 16.1 პუნქტში ჩამოთვლილი თითოეული საკრედიტო პროდუქტი აღწერილია ამ ხელშეკრულების შესაბამის ნაწილში, ხოლო ამ მუხლით განისაზღვრება საკრედიტო პროდუქტების ზოგადი პირობები.
- 16.3 კლიენტის ფულადი ვალდებულები, როგორც წესი, სრულდება მის ანგარიშ(ებ)ზე აკუმულირებული თანხებით.
- 16.4 იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს არ აქვს საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიში, საკრედიტო პროდუქტის მიღების შესახებ განაცხადი იმავდროულად ჩაითვლება განაცხადად საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიშის გახსნის შესახებ და საკრედიტო პროდუქტის გაცემამდე გაიხსნება კლიენტის საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიში.
- 16.5 კლიენტის/ბარათის მფლობელის მიერ საკრედიტო პროდუქტის დასაფარავად ბანკისთვის გადაცემული ან ბარათის მფლობელის/კლიენტის ანგარიშზე არსებული თანხით პირველ რიგში დაიფარება სადაზღვევო პრემია, შემდეგ პირგასამტეხლო ვადაგადაცემისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ საპროცენტო სარგებელი და ბოლოს კრედიტის ძირითადი თანხა (ბანკს უფლება აქვს შეცვალოს ამ პუნქტში მოცემული წესი).

- 16.6 ყოველთვიურად გადასახდელი თანხის დროულად გადახდელთა შემთხვევაში კლიენტი/ბარათის მფლობელი ვალდებული იქნება გადაუხადოს ბანკს პირგასამტეხლო ვადგადაცვილებისთვის, რომელიც შესაძლებელია შედგებოდეს ფიქსირებული პირგასამტეხლოს და ყოველდღიური პირგასამტეხლოსგან და რომელთა ოდენობაც განისაზღვრება ვადაგადაცვილების წარმოშობის მომენტში ბანკის მიერ დადგენილი ტარიფების შესაბამისად.
- 16.7 საკრედიტო პროდუქტს არ დაერიცხება პირგასამტეხლო, თუ თანხის შეტანის (გადახდის) თარიღი დაემთხვევა დასვენების/უქმედს. ამ შემთხვევაში კლიენტი ვალდებული იქნება გადასახდელი თანხა შესაბამის ანგარიშზე შეიტანოს (გადაიხადოს) მომდევნო სამუშაო დღეს.
- 16.8 იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი/ბარათის მფლობელი ბანკთან შეთანხმებულ ვადაში არ დაფარავს საკრედიტო პროდუქტის ათვისების გზით მის მიერ ბანკისგან მიღებულ კრედიტს, მისთვის დარიცხულ სარგებელს, პირგასამტეხლოს (სესიის არსებობის შემთხვევაში), სადაზღვევო პრემიას ან დროულად არ გადაიხდის ბანკის მიერ განსაზღვრულ რომელიმე საკომისიოს, ბანკს უფლება ექნება:
- 16.8.1 საკუთარი მოთხოვნა დაიკამათოს კლიენტის/ბარათის მფლობელის ნებისმიერი აქტივის რეალიზაციის ხარჯზე (ეს უფლება არ ზღუდავს ბანკის მიერ ამ ხელშეკრულების 3.2 პუნქტის საფუძველზე წარმოშობილი უფლების გამოყენებას);
- 16.8.2 ნებისმიერ დროს მოსთხოვოს კლიენტს/ბარათის მფლობელს საკრედიტო ლიმიტის ათვისების წარმოშობილი დავალიანების დაფარვის უზრუნველსაყოფად მასთან იპოთეკის ან გირავნობის ხელშეკრულების დადება (ამ შემთხვევაში კლიენტი/ბარათის მფლობელი ვალდებული იქნება ბანკის მოთხოვნის მიუხედავად არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა ბანკთან გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება, რომლითაც იპოთეკის ან დააგირავებს ბანკისთვის მისაღებ ქონებას, რომლის ღირებულებაც არ უნდა იყოს ათვისებული საკრედიტო პროდუქტის, მისთვის დარიცხული სარგებლისა და პირგასამტეხლოს ჯამზე ნაკლები და უზრუნველყოს ბანკის უფლებების რეგისტრაცია შესაბამის რეესტრში. ხელშეკრულებ(ებ)ის გაფორმებისა და მათ საფუძველზე წარმოშობილი უფლებების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ხარჯებს გაიტებს კლიენტი/ბარათის მფლობელი);
- 16.8.3 მოითხოვოს გირავნობის ან/და იპოთეკის საგნის მისთვის გადაცემა და ნივთის მისთვის გადაცემის შემდეგ პირდაპირი მიყიდვის ან სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სხვა წესით გაასხვისოს გირავნობის საგანი და რეალიზაციისთვის საჭირო ხარჯების დაფარვის შემდეგ მიღებული თანხა მიმართოს კრედიტის დასაფარავად. თუკი გირავნობის საგნის გაყიდვით მიღებული თანხა სრულად არ დაფარავს მსესხებლის დავალიანებას, ბანკს უფლება ექნება აღსრულება მთავრობის კლიენტის/მსესხებლის ნებისმიერ ქონებაზე (კლიენტის კუთვნილ ნებისმიერ ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიყუთზე).
- 16.9 კლიენტის/მსესხებლის მიერ ყოველთვიურად გადასახდელი თანხის, საპროცენტო სარგებლის, პირგასამტეხლოს ან სადაზღვევო პრემიის დროულად გადახდელთა ან სხვა მნიშვნელოვანი საფუძველების არსებობის შემთხვევაში ბანკს უფლება ექნება ცალმხრივად შეწყვიტოს საკრედიტო ურთიერთობა ან/და შესაბამისი ხელშეკრულების მოქმედება და მოსთხოვოს კლიენტს/მსესხებელს საკრედიტო პროდუქტის დაბრუნება მისთვის დარიცხულ გადასახდელთა (საპროცენტო სარგებელი, პირგასამტეხლო და სხვა) ერთად.
- 16.10 იპოთეკური კრედიტის, სამომხმარებლო კრედიტის ან/და ავტო-კრედიტის (ამ ხელშეკრულების 16.10-16.15 პუნქტების მიზნებისთვის შემდგომში "კრედიტის") დაფარვის გრაფიკით გათვალისწინებული გადახდების ვადაზე ადრე განხორციელდება (მათ შორის კრედიტის წინსწრებით სრულად ან ნაწილობრივ დაბრუნება ან/და რეფინანსირება) შესაძლებელია მხოლოდ სავარაუდო გადახდის თარიღამდე 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე კლიენტის/მსესხებლის მიერ შესაბამისი წერილობითი განცხადების გაკეთებისას ბანკისთვის წარდგენის შემდეგ.
- 16.11 კრედიტის ნაწილის წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში, ბანკს უფლება ექნება ავტომატურად შეცვალოს კრედიტის დაფარვის გრაფიკი (შეადგინოს ახალი გრაფიკი) და ამ შემთხვევაში კლიენტი/მსესხებელი ვალდებული იქნება კრედიტი დაფაროს ბანკის მიერ შედგენილი ახალი გრაფიკის მიხედვით.
- 16.12 კრედიტის წინსწრებით დაფარვის შესახებ განცხადების ბანკისთვის წარდგენის შემთხვევაში, კლიენტი/მსესხებელი ვალდებული იქნება წარუდგინოს ბანკს ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტი, რომელიც პირდაპირ ან ირიბად იძლევა კრედიტის რეფინანსირების ფაქტის დადგენის შესაძლებლობას ან უარყოფს კრედიტის რეფინანსირების ფაქტს.
- 16.13 იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი კრედიტის პირობებით გათვალისწინებულია რეფინანსირების საკომისიო და ბანკს გაუჩნდება ეჭვი, რომ ხდება რეფინანსირება, ბანკს უფლება ექნება კრედიტის წინასწრებით დაფარვის შესახებ კლიენტის/მსესხებლის განცხადების მიღების შემდეგ ნებისმიერ დროს დამატებით მოსთხოვოს კლიენტს/მსესხებელს კრედიტის რეფინანსირებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის/დოკუმენტის მისთვის წარდგენა მოთხოვნისა და არაუგვიანეს 2 (ორი) საბანკო დღისა.
- 16.14 კრედიტის რეფინანსირებად ჩაითვლება ნებისმიერი ფინანსური ინსტიტუტის (კომერციული ბანკის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, საკრედიტო უკავშირის ან/და სხვა პირის) მიერ პირდაპირ ან/და ირიბად, უშუალოდ ან/და სხვა პირ(ებ)ის მეშვეობით გაცემული თანხით სს "თიბისი ბანკსგან" მიღებული კრედიტის წინსწრებით (შეთანხმებულ ვადაზე ადრე) დაფარვა პირდაპირ ან/და ირიბად, უშუალოდ ან/და სხვა პირ(ებ)ის მეშვეობით.
- 16.15 მხარეები თანხმდებიან, რომ:
- 16.15.1 ბანკი არ არის ვალდებული დაამტკიცოს რეფინანსირების ფაქტი და მას უფლება აქვს, კრედიტის რეფინანსირების შესახებ ინფორმაციის ნებისმიერი წყაროთი მიღების შემთხვევაში მიიღოს გადაწყვეტილება კლიენტისთვის/მსესხებლისთვის შესაბამისი საკომისიოს ან/და პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ, რაც ნიშნავს იმას, რომ რეფინანსირების არარსებობის ფაქტის მტკიცების ვალდებულება ეკისრება კლიენტს/მსესხებელს;
- 16.15.2 წინსწრებით დაფარვისა და რეფინანსირების საკომისიოს ან/და პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვრება კლიენტთან/მსესხებელთან დადებული ხელშეკრულებ(ებ)ით;
- 16.15.3 იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი/მსესხებელი სასამართლოსთვის მიმართვის გზით დაამტკიცებს რეფინანსირების არარსებობის ფაქტს, ბანკი ვალდებული იქნება, დაუბრუნოს მას მხოლოდ უკვეცხტო წესით ჩამოწერილი საკომისიო ან/და პირგასამტეხლო, ხოლო კლიენტი/მსესხებელი უარს აცხადებს ბანკის ქმედებით (ბანკის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაყისრი ვალდებულებების დარღვევით) მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე.
- 16.16 იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის მიერ საკრედიტო პროდუქტით სარგებლობისთვის ბანკი მოითხოვს მისთვის სადაზღვევო პოლისის წარდგენას, კლიენტი/ბარათის მფლობელი ვალდებული იქნება:
- 16.16.1 დაზღვევის ხელშეკრულება დადოს ბანკისათვის მისაღებ პირობებთან, ამ უკანასკნელის მიერ განსაზღვრული პირობებისა და ტარიფების შესაბამისად;
- 16.16.2 დაზღვევა განხორციელოს ბანკის მიერ მოთხოვნილი პირობების დაცვით.
- 16.16.3 უზრუნველყოს სადაზღვევო პოლისში ერთადერთ ბენეფიციარად ბანკის დასახელება.
- 16.17 იმ შემთხვევაში თუ კლიენტი/ბარათის მფლობელი არ გადაიხდის სადაზღვევო პრემიას ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესითა და ვადებში დავალიანება ჩაითვლება ვადაგადაცვილებულად.
- 16.18 დაზღვევის პირობების არსებითი გაუარსების ან სადაზღვევო ტარიფების გაზრდის შემთხვევაში კლიენტს/ბარათის მფლობელს უფლება ექნება წერილობით გამოხატოს სავალდებულო დაზღვევის მოთხოვნის გაუქმების სურვილი. ბანკი ცალმხრივად იღებს გადაწყვეტილებას სავალდებულო დაზღვევის მოთხოვნის გაუქმების შესახებ ხელმძღვანელობს რა საკუთარი დაკრედიტების პრინციპებითა და წესებით.
- 16.19 კლიენტი/ბარათის მფლობელი თანახმაა, რომ ბანკმა ამ ხელშეკრულების 3.2 პუნქტით გათვალისწინებული წესით ყოველთვიურად ჩამოწეროს სადაზღვევო პრემიის თანხა მზღვევლის (სადაზღვევო კომპანიის) სასარგებლოდ კლიენტის/ბარათის მფლობელის ნებისმიერი ანგარიშიდან.
- 16.20 კლიენტი ბანკს ანიჭებს უპირობო უფლებას, კლიენტის დამატებით თანხმობის გარეშე კლიენტის თავლებ(ებ)ს ან/და პირ(ებ)ს, რომელთა ქონებითაც უზრუნველყოფილია კლიენტის ვალდებულებ(ებ)ის შესრულება მიაწოდოს ინფორმაცია ბანკის მიმართ კლიენტის იმ ვალდებულებ(ებ)ის შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფილია კონკრეტულად ინფორმაციის მიმღები პირის თავლებობით ან/და ქონებით.
- 16.21 ბანკს უფლება აქვს საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსთან (შემდგომში "ბიუროსთან") დადებული ხელშეკრულების შესაბამისად:

- 16.21.1 კლიენტის შესახებ ბანკის ხელთ არსებული როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ინფორმაცია გადასცეს ბიუროს, რის საფუძველზეც კლიენტი აღირიცხება ბიუროს მონაცემთა ბაზაში;
- 16.21.2 გაეცნოს ბიუროს მონაცემთა ბაზაში აღრიცხულ ინფორმაციას კლიენტის შესახებ (მათ შორის, კლიენტის საკრედიტო ისტორიას).
- 16.22 ბანკს უფლება აქვს კრედიტის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ან/და კლიენტის მიერ ბანკის წინაშე ნაყისრი ვალდებულების შესრულების (მათ შორის კრედიტის დაბრუნების) მიზნით მოითხოვოს და მიიღოს კლიენტის შესახებ შესამე პირთქ)ან თუ აღინიშნავს ორგანო(ებ)ში არსებული ნებისმიერი სახის პერსონალური ინფორმაცია.
- 16.23 იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი დაარღვევს ბანკთან დადებული რომელიმე ხელშეკრულებით ნაყისრი ვალდებულებას ან ეს საჭირო იქნება ბანკის საქმიანი რეპუტაციის ან/და უსაფრთხოების ინტერესის დასაცავად, ბანკს უფლება ექნება სასამართლოს/არბიტრაჟს გადასცეს ან/და გამოიყენოს ინფორმაცია კლიენტის შესახებ.

17. საარედიტო ლიმიტი

- 17.1 საბარათო ანგარიშზე საკრედიტო ლიმიტის დაშვება გულისხმობს ბარათის მფლობელისთვის საკრედიტო რესურსით სარგებლობის უფლების მინიჭებას, საკრედიტო ლიმიტით გათვალისწინებული თანხის ფარგლებში.
- 17.2 საბარათო ანგარიშზე საკრედიტო ლიმიტის დასაშვებად ბარათის მფლობელი ბანკს მიმართავს განცხადებით. განცხადებში აღინიშნება საკრედიტო ლიმიტის მაქსიმალური ოდენობა, რომლის მიღებაც სურს ბარათის მფლობელს; საკრედიტო ლიმიტის ვალუტა, ვადა, რომლის განმავლობაშიც ბარათის მფლობელი მზად არის დააბრუნოს ათვისებული საკრედიტო ლიმიტი; სარგებლის წლიური საპროცენტო განაკვეთი (ბანკის მიერ დადგენილი ტარიფების შესაბამისად) და სხვა ინფორმაცია.
- 17.3 ბარათის მფლობელის განცხადების მიღების შემდეგ ბანკი განიხილავს საკრედიტო ლიმიტის დაშვების საკითხს და დადებით გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ბარათის მფლობელს აძლევს უფლებას, ისარგებლოს მის ანგარიშზე დაშვებული საკრედიტო ლიმიტით ბანკის მიერ განსაზღვრული პირობების შესაბამისად, რის შესახებაც ბარათის მფლობელს ინფორმაცია მიეწოდება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი ფორმით. ამასთან, კლიენტი ვალდებულია განცხადების ბანკისთვის მიწოდებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის გასვლის შემდეგ ამ ხელშეკრულების 11.2.1 ქვეპუნქტში აღნიშნული კოდის გამოყენებით დაუკავშირდეს ბანკის სატელეფონო სერვისცენტრს (ნომერზე +99532 272727) მის საბარათო ანგარიშზე საკრედიტო ლიმიტის დაშვების შესახებ ინფორმაციის მისაღებად.
- 17.4 ათვისებული საკრედიტო ლიმიტით სარგებლობისათვის ბარათის მფლობელი ვალდებული იქნება გადაუხადოს ბანკს სარგებელი, რომლის წლიური განაკვეთი დგინდება ლიმიტის ათვისების მომენტისთვის ბანკის მიერ საკრედიტო ლიმიტით სარგებლობისთვის დადგენილი ტარიფების შესაბამისად, კლენდარული წლის 365 (სამას სამოცდახუთი) დღეზე გაანგარიშებით. სარგებელი (პროცენტი) ათვისებულ საკრედიტო ლიმიტს დაერიცხება წარმოშობის თარიღიდან მისი სრულად დაფარვის (ექაქტობრივად გადახდის) თარიღამდე.
- 17.5 საკრედიტო ლიმიტის ან მისი ნაწილის ათვისების მომენტიდან ბარათის მფლობელს წარმოეშობა ყოველთვიურად გადასახდელი თანხის ბანკისთვის გადახდის ვალდებულება. ყოველთვიურად გადასახდელი თანხა მოიცავს: სადაზღვევო პრემიის თანხას, ათვისებული საკრედიტო ლიმიტის ნაწილს და ათვისებულ საკრედიტო ლიმიტზე დარიცხულ სარგებელს.
- 17.6 ყოველთვიურად გადასახდელი თანხა გადახდილი უნდა იქნეს ყოველი თვის იმ რიცხვამდე, რომელსაც ბარათის მფლობელი მიუთითებს განცხადებში საკრედიტო ლიმიტის დაშვების შესახებ.
- 17.7 ბანკს უფლება აქვს:
- 17.7.1 იმ გარემოებებში მნიშვნელოვნად შეცვლის შემთხვევაში, რომელთა არსებობის გამოც ბანკმა მიიღო გადაწყვეტილება საკრედიტო ლიმიტის დაშვების შესახებ, ბარათის მფლობელის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაყისრი ვალდებულების დაარღვევის ან/და ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში ბარათის მფლობელისთვის წინასწარ შეტყობინების გარეშე, ნებისმიერ დროს, ცალმხრივად შეაჩეროს/გააუქმოს ბარათის მოქმედება ან გააუქმოს/შეამციროს საკრედიტო ლიმიტით სარგებლობის უფლება ან/და ბარათის მფლობელისთვის შეტყობინებით მოითხოვოს ბარათის მფლობელის მიერ ათვისებული თანხის (კრედიტის) დაბრუნება მისთვის დაერიცხულ სარგებელთან და პირგასამტეხლოსთან ერთად ბარათის მფლობელის მიერ შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღისა.
- 17.7.2 საკუთარი ინიციატივით, ბარათის მფლობელისთვის წინასწარ შეტყობინების გარეშე ბარათის მფლობელის საბარათო ანგარიშზე დაუშვას საკრედიტო ლიმიტი, გაზარდოს საბარათო ანგარიშზე უკვე დაშვებული ლიმიტი ან საკრედიტო ლიმიტის მოქმედების ვადა, რაზეც ბარათის მფლობელი თანხმობას აცხადებს საკრედიტო ლიმიტის დაშვების შესახებ განცხადების ხელმოწერით (საბარათო ანგარიშზე საკრედიტო ლიმიტის დაშვებისთვის, უკვე დაშვებული ლიმიტის ვადის გაგრძელებისთვის, საკრედიტო ლიმიტის მოცულობის გაზრდისთვის ან საკრედიტო ლიმიტთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღებისთვის ბარათის მფლობელი იხდის საკომისიოს ბანკის მიერ განსაზღვრული ტარიფების შესაბამისად).

18. განვადების ბარათი

- 18.1 განვადების ბარათი არის საერთაშორისო Visa Electron ტიპის ჩიპური ბარათი, რომელზეც კლიენტის განცხადების საფუძველზე დაიშვება საკრედიტო ლიმიტი (შემდგომში "განვადების ლიმიტი") მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში.
- 18.2 განვადების ლიმიტის ათვისების ყოველ ჯერზე, თითოეული შესრულებული ტრანზაქციისთვის დგება 10 (ათი) თვიანი გადახდის გრაფიკი, რომლის მიხედვითაც კლიენტი ვალდებულია დაფაროს ათვისებულ თანხას დამატებული დარიცხული საპროცენტო სარგებელი თანაბარ წილებად.
- 18.3 გამოყენებული თანხის დაბრუნების პარალელურად, კლიენტს შეუძლია თავიდან აითვისოს განვადების ლიმიტი.
- 18.4 განვადების დაფარვა იწყება განვადების ლიმიტის ათვისებიდან მომდევნო თვეს არაუგვიანეს კლიენტის მიერ არჩეული რიცხვისა.
- 18.5 განვადების ლიმიტის დაფარვა უნდა მოხდეს მისი ათვისებიდან 10 (ათი) თვის განმავლობაში ან კლიენტის მიერ გაკეთებული არჩევანის შესაბამისად უფრო ადრე (ვალუტა ადრე განვადების ლიმიტის დაფარვის შემთხვევაში კლიენტი ვალდებული იქნება სრულად გადაიხადოს ათ თვიანი პერიოდისთვის გადასახდელი სარგებელი).
- 18.6 განვადების ყოველთვიური დასაფარი თანხა გამოითვლება შემდეგნაირად: თვის განმავლობაში ათვისებული განვადების თანხა იზრდება გაძვირების პროცენტით და იყოფა 10-ზე.
- 18.7 ყოველ მომდევნო თვეს გადასახდელი თანხა შესაძლებელია განსხვავებული იყოს წინა თვისგან. თითოეული განვადების ყოველთვიურად გადასახდელი თანხა ერთმანეთს ემატება.

19. თიბისი ქარდი

- 19.1 "თიბისი ქარდი" არის სს „თიბისი ბანკის“ საერთაშორისო Visa classic/ Visa Gold/ MasterCard Standard/ MasterCard Gold ტიპის ჩიპური საკრედიტო ბარათი, რომელზეც დაშვებულია საკრედიტო ლიმიტი მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში არაუმეტეს 55 (ორმოცდახუთმეტი) დღიანი საშუალო პერიოდით.
- 19.2 საშუალო პერიოდის პერიოდის გულისხმობს, რომ თუ კლიენტი ამ პერიოდში დაფარავს წინა დაანგარიშების პერიოდში ათვისებულ თანხას, მაშინ ათვისებულ კრედიტს არ დაერიცხება საპროცენტო სარგებელი. სხვა შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია ყოველთვიურად დასაფარი მინიმალური თანხა შეიტანოს ბანკში დაანგარიშების (ბილინგის) თარიღიდან არაუმეტეს 25-ე დღეს.
- 19.3 იმ შემთხვევაში თუ დაანგარიშების თარიღი ემთხვევა არასამუშაო დღეს, დავალაინების დაანგარიშება მოხდება მომდევნო სამუშაო დღეს.
- 19.4 აუცილებელი მინიმალური დასაფარი თანხა უნდა დაიფაროს დამდები დაანგარიშების თარიღიდან მაქსიმუმ 25-ე დღეს.
- 19.5 ბანკს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეწყვიტოს "თიბისი ქარდის" მოქმედება და ამ შემთხვევაში კლიენტი ვალდებული იქნება ბანკის შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან 180 (ას ოთხმოცი) კალენდარული დღის გასვლამდე სრულად დაბრუნოს ბანკს

თიბისი ქარდის მეშვეობით ათვისებული ქრედიტი მისთვის დარიცხულ სარგებელთან და პირგასამტეხლოსთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

- 19.6 ბარათის წლიური მომსახურების საკომისიოს გადახდა ხდება სანჯის ეტაჟზე, პირველივე ტრანზაქციის განხორციელებისას, ხოლო შემდგომი წლების საკომისიოს გადახდა მოხდება ყოველი ერთი წლის გასვლის შემდგომ, ლიმიტის დაშვების დღეს. პროცენტისა და ქრედიტით სარგებლობის შემთხვევაში, დაანგარიშების დღიდან გადახდის დღემდე დაიბლოკება დარიცხული პროცენტისა და ჯარიმის თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

20. მარბივი სამომხმარებლო სესხი

- 20.1 მარბივი სამომხმარებლო სესხი არის საბანკო ქრედიტი, რომელსაც ბანკი გაცემს ამ მეხლით გათვალისწინებული გამარტივებული წესით.
- 20.2 სამომხმარებლო სესხის მისაღებად კლიენტმა (მსესხებელმა) ბანკს უნდა მიმართოს განაცხადით ან დაუკავშირდეს ბანკის სატელეფონო სერვისცენტრს (ნომერი +99532 272727).
- 20.3 ბანკი განიხილავს კლიენტის განაცხადს და მიიღებს გადაწყვეტილებას სამომხმარებლო სესხის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ (ბანკი არ არის ვალდებული განმარტოს უარის თქმის მიზეზი).
- 20.4 სამომხმარებლო სესხის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ბანკი კლიენტის (მსესხებლის) ანგარიშზე ჩარიცხავს ქრედიტის თანხას.
- 20.5 ქრედიტის მიღების შემდეგ კლიენტი (მსესხებელი) ვალდებული იქნება დააბრუნოს ის და გადაიხადოს საპროცენტო სარგებელი ბანკთან შეთანხმებული პირობების შესაბამისად.
- 20.6 ამ ხელშეკრულებით კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ მისი სატელეფონო განაცხადი (საუბრის ჩანაწერი) დაფიქსირდეს ბანკის მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში და დავის შემთხვევაში ასეთ ჩანაწერს ჰქონდეს მტკიცებულებითი ძალა (გამოყენებული იქნეს მტკიცებულებად). ჩანაწერი მიიჩნევა ბანკის საუბრებზე და ბანკი ვალდებულია, ბანკისთვის მისაღები ფორმით გადასცეს ის კლიენტს მისი წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღისა (ბანკის ეს ვალდებულება ვრცელდება მხოლოდ 2011 წლის 1 იანვრიდან განხორციელებულ ჩანაწერებზე).

21. სწრაფი განვადება

- 21.1 სწრაფი განვადება არის ბანკის მიერ გაცემული საბანკო ქრედიტი პირდაპირ სავაჭრო ობიექტებში საყოფაცხოვრებო ნივთის/საოჯახო ტექნიკის/ავტოს/ მომსახურების შესაძენად.
- 21.2 სესხის გაცემისას სესხის თანხის გადარიცხვა ხორციელდება უშუალოდ სავაჭრო ობიექტში, მსესხებლისთვის თანხის ხელზე გაცემის გარეშე.
- 21.3 მსესხებლის კატეგორიების მიხედვით შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს თანამონაწილეობა. აღნიშნულ კატეგორიებს და თანამონაწილეობის პირობებს ადგენს ბანკი საერთო შეხვედრების საფუძველზე.
- 21.4 სესხის წინსწრებით დაფარვისას არ ხდება დამატებითი საკომისიოს გადახდა. სესხის წინსწრებით დაფარვისას კლიენტის დავალიანება ბანკის წინაშე რჩება უცვლელი.
- 21.5 სწრაფი განვადების ხელშეკრულებით კლიენტის/მსესხებლის მიერ ნაყისრი ვალდებულებების შესრულებას უზრუნველყოფს კლიენტის/მსესხებლის მიერ ქრედიტით შეძენილი ნივთი, რომელიც გირავდება ბანკის სასარგებლოდ.

22. სტუდენტური სესხი

- 22.1 სტუდენტური სესხი არის ბანკის მიერ გაცემული სამომხმარებლო ქრედიტი, რომლის მიზნობრიობა არის ბანკის მიერ შერჩეულ საქართველოში არსებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის დაფინანსება. მსესხებელი შესაძლოა იყოს სტუდენტი, სტუდენტის მშობელი, ნათესავი ან ნებისმიერი პირი.
- 22.2 სესხის გაცემისას სესხის თანხის გადარიცხვა ხორციელდება უშუალოდ სასწავლებელში, მსესხებლისთვის თანხის ხელზე გაცემის გარეშე.
- 22.3 სტუდენტურ სესხზე ფასწარმოქმნის პროცენტი ფიქსირებულია და არ არის დამოკიდებული სესხის ვადაზე.
- 22.4 მსესხებლის საპროცენტო დავალიანება შემცირდება არ ექვემდებარება სესხის წინსწრებით დაფარვისას.
- 22.5 სტუდენტური სესხი სამუდავო პერიოდით არის კლიენტზე გაცემული სამომხმარებლო სესხი, სამუდავო პერიოდით, რომელიც გაცემა ბანკის მიერ შერჩეულ საქართველოში არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის დაფინანსების მიზნობრიობით.
- 22.6 სამუდავო პერიოდის განმავლობაში მსესხებელი იხდის მხოლოდ სესხის საპროცენტო სარგებელს ყოველთვიური გადახდებით, ხოლო სამუდავო პერიოდის გასვლის შემდეგ მსესხებელი ფარავს სესხის ძირითად თანხას და საპროცენტო სარგებელს თანაბარი ყოველთვიური გადახდებით ბანკის მიერ დადგენილ ვადაში.
- 22.7 სტუდენტურ სესხზე სამუდავო პერიოდით ვრცელდება ამ ხელშეკრულების 22.2, 22.3, 22.6 პუნქტებში აღწერილი პირობები.

23. სალომბარდო სესხი

- 23.1 სალომბარდო სესხი არის ბანკის მიერ გაცემული სესხი, რომელიც უზრუნველყოფილია კლიენტის (შემდგომში "მსესხებლის") ან/და მესამე პირის ეუთვნილი მოძრავი ნივთებით (ძვირფასეულობით).
- 23.2 სალომბარდო სესხის ვადის ამოწურვამდე ან სალომბარდო სესხის დაფარვის ვადის დადგომიდან უზრუნველყოფის საგნების (დაგირავებული ძვირფასეულობის) რეალიზაციამდე ნებისმიერ დროს იმ მომენტისთვის სალომბარდო სესხისთვის დარიცხული საპროცენტო სარგებლისა და პროლონგაციის საკომისიოს მსესხებლის მიერ გადახდის შემთხვევაში სალომბარდო სესხის ვადა გაგრძელდება მხარეთა შორის შეთანხმებული ვადით.
- 23.3 ბანკს უფლება აქვს ნებისმიერ დროს:
 - 23.3.1 მსესხებლისთვის შეტყობინებით გააუქმოს ამ ხელშეკრულების 23.3 ქვეპუნქტში აღწერილი პირობა;
 - 23.3.2 გადაავასოს სალომბარდო სესხის უზრუნველსაყოფად დაგირავებული ნივთები (შეამციროს შეფასება) და მსესხებელს მოსთხოვოს სალომბარდო სესხის ვადაზე აღრე (წინსწრებით) დაფარვა ფასთა შორის სხვაობის გოლი ოდენობით ან დამატებითი უზრუნველყოფის წარმოდგენა (ძვირფასეულობის დაგირავება).
- 23.4 ამ ხელშეკრულების 23.4 პუნქტში აღწერილი რომელიმე უფლების ბანკის მიერ განხორციელების შემთხვევაში მსესხებელი ვალდებული იქნება ბანკის მიერ მითითებულ ვადაში შესარულოს ბანკის მოთხოვნა.
- 23.5 მიუხედავად სახელწოდებისა "სალომბარდო სესხი" ბანკს შეუძლია გამოიყენოს ამ ხელშეკრულების 16.8 პუნქტში აღწერილი უფლებები მსესხებლის მიერ ხელშეკრულებით ნაყისრი რომელიმე ვალდებულების დროულად შესრულებლობის შემთხვევაში.